# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

9 VIII 1991 ფასი 50 კაპ. № 29 (34)


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახლაც თვალწინ მიდგას...

**გაზეთ „თავისუფალ საქართველოს“ რედაქციას**

**ძვირფასო** რედაქცია, 1991 წლის 16 ივლისს სრულიად შემთხვევით შევესწარი ფაქტს, რომელზეც აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება. იმედი მაქვს, რომ თქვენი გაზეთი მას უყურადღებოდ არ დატოვებს, რამეთუ თქვენ მრგვალი მაგიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინფორმაციის წყარო ბრძანდებით.

ზემოთ აღნიშნულ დღეს თბილისიდან სახლში (სიღნაღი-მაღარო) ვბრუნდებოდი და ავტოსადგურში ავტობუსის მოსვლას ველოდი, უცებ შემომესმა დავის ხმა, ჩვენი ბაჭიდან (№ 7) ოცდაათიოდე მეტრის დაშორებით ერთი ახალგაზრდა კაცი რამდენიმე ათეულ კაცს გაცხარებით რაღაცას უხსნიდა, მაგრამ მათ წრე შეეკრათ და ხმის ამოღებას არ აცდიდნენ. დავა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, მაგრამ აქცენტზე შევატყვე, რომ ეს ერთი კაცი ქართველი იყო, სხვები კი — აზერბაიჯანული ეროვნების. მაშინვე იქით გავეშურე, ვიფიქრე გავაშველებ, რაიმე გაუგებრობა არ მოხდეს, თორემ, ჩვენი მტრები მაშინვე ეთნოკონფლიქტად მონათლავენ-შეთქი. მისვლისთანავე ქართველ კაცს გამოვკითხე დავის მიზეზი. მან ამიხსნა: რამოდენიმე თვის წინ მარნეულის რაიონის სოფ. თამარისის მცხოვრებლებმა ავტობუსი მოვითხოვეთ, რადგან ჩვენს სოფლამდე არაფერი მიდიოდა ძვირად ღირებული ტაქსების გარდა, როგორც იქნა დაგვინიშნეს ავტობუსის რეისი თბილისი-თამარისი, მაგრამ რად გინდა, მოვა ავტოსადგურში მძღოლი და თვითონ ყიდის ბილეთებს აზერბაიჯანელებზე (მძღოლი აზერბაიჯანელია, ავტობუსი „პაზ“, სახელმწიფო ნომერი 1130 გაუ)! შემდეგ ერთი-ორი თამარისელი როგორმე შევა ავტობუსში, მარნეულამდე წაიყვანს, მერე კი ეტყვის, ორი კაცისათვის თამარისში არ წავალო და იმათაც მარნეულში ჩამოაბრძანებს, აგერ ახლაც, ავტობუსი გაჭედილია, თამარისელები კი ვდგავართ და ცხვირიც ვერ შეგვიყვია.

გავიხედე და თხუთმეტიოდე მგზავრი (თამარისელი) კუთხეში შეყუჟულიყო, ისე შესცქეროდა ამ დავას, თითქოს სულაც არ ეხებოდა და არც აწუხებდა მგზავრობის საკითხი. ამ 15 კაცში ახალგაზრდა ყმაწვილკაცებიც იყვნენ, ქალებიც და ბავშვებიც. გამკვირვა მათმა ასეთმა საქციელმა, მივედი და გაცხარებით მივმართე: ხალხო რამ დაგამუნჯათ, თქვენს მიწა-წყალზე ასე გჩაგრავენ, ხმა აიმაღლეთ, ან სადგურის უფროსთან მიდით, ან თქვენი რაიონის პრეფექტთან, ან სატრანსპორტო სამინისტროში, რაღაც იმოქმედეთ, როგორ შეიძლება მარტო ეს ერთი კაცი რომ დაობს, თქვენც დაუჭირეთ მხარი-მეთქი!

ხმა არ გამცეს, მხოლოდ შემომხედეს, კიდევ უფრო გავკვირდი და სათითაოდ დავაკვირდი სახეებს, დავაკვირდი და გული მომიკლა თვალების გამომეტყველებამ, კინაღამ ტირილი ამივარდა. თითქოს მეუბნებოდნენ: შენ, ალბათ, პირველად ხედავ ამ მდგომარეობას და იმიტომ აღელდი, სულ ერთია, ვერაფერს გავხდებით და ჯობია, შენც გაჩუმდეო.

აღელვებული გამოვბრუნდი, მივედი ავტობუსთან, ამოვიღე უბის წიგნაკი და დავიწყე ავტობუსის ნომრის ჩაწერა. უცებ მიახლოვდება ერთი კაცი და მეკითხება „ჩთო თი ფიშიშ?“ მე ავუხსენი, რომ ვიწერ ავტობუსის ნომერს და კიდევ, მჭირდება მძღოლის გვარი, რომ რედაქციას შევატყობინო ეს ამბავი-მეთქი. მან კი მუქარანარევი ხმით მითხრა, „ია შოფიორ მამედოვ (არ ვიცი, ეს მართალია თუ არა), ნაფიში-ნაფიში, ზავთრა ვაფშე ნიბუდეთ რეის თამარისი“.

თამარისელებისათვის რა მნიშვნელობა აქვს, ამისთანა რეისი იქნება თუ არა, მაგრამ ამ სიტყვებით მძღოლმა მაინც „გაგვაფრთხილა“: თუ წყნარად არ მოიქცევით, რეისს სულ მოგიხსნითო.

ახლაც თვალწინ მიდგას თამარისელების სახეები და მზარავს იმის გაფიქრება, ვაითუ ეს „სულ ერთია“ ქვემო ქართლის კარგა გვარიანად შეთხელებულ ქართველ მოსახლეობას მთლიანად გადაედოს, ახალ ეროვნულ მთავრობაზეც გული აიცრუოს და ქვემო ქართული სულ უპატრონოდ დაგვრჩეს. სხვაგან თუ (სიღნაღი, ქუთაისი, ზუგდიდი) ათასი კაცის მოთხოვნაა გასათვალისწინებელი, ქვემო ქართლში ერთი ქართველის უნდა გავითვალისწინოთო, რამეთუ ეს ერთი კაცი, ერთი ღერიღაა ამ მხარეში ქართული სულის მატარებელი. ამ შემთხვევაში ზომ შეიძლება ავტობუსი სულაც ბალანსზე გადავუტანოთ თამარისის მეურნეობას (მგონი იქ მეფრინველეობის ფაბრიკაა), მძღოლად იქაური ქართველი კაცი იყოს და ბილეთებიც თვითონ გაყიდოს (თუკი ამას აზერბაიჯანელი აკეთებს, მასაც მივცეთ უფლება), თუ ადგილი დარჩა, მერე აზერბაიჯანელებიც დასხდნენ და მარნეულამდე იმგზავრონ. ნუთუ არ არის დრო, რომ საქართველოში ქართველმა კაცმა დაჩაგრულად აღარ იგრძნოს თავი?! ისარგებლოს ყველა იმ სიკეთით, რითაც ჩვენს მიწა-წყალზე აზერბაიჯანელი, ოსი, სომეხი, ბერძენი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები სარგებლობენ?

მჯერა, ქვემო ქართლში ქართველი ხალხის ბედი აუცილებლად სასიკეთოდ შემობრუნდება. იმედს ისიც მისახავს, რომ ერთი კაცი მარტო დაობდა ზემოთ აღნიშნულ საკითხზე, თუმცა, 30-მდე მოწინააღმდეგე ჰყავდა, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხდა და დაბეჯითებით უმტკიცებდა, რომ მათი საქციელი უსამართლო იყო. მე სპეციალურად გამოვკითხე ვინაობა, აღმოჩნდა მოქალაქე ანზორ გოგინავი. ღმერთმა გვიმრავლოს სამართლიანობისათვის ამისთანა მებრძოლი ქართველები.

**მინაწერი:**

ძვირფასო რედაქცია, თუ საჭიროდ ჩათვლით, დაბეჭდეთ ეს წერილი, აქ მოყვანილ ფაქტზე აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება. ის მაინც უნდა გაკეთდეს, რომ თამარისელების ავტობუსის მძღოლი ქართველი კაცი იყოს. იქნებ რაღაც ეშველოს ამ საქმეს, რატომ უნდა ქირაობდეს ქართველი კაცი ძვირადღირებულ ტაქსს, როცა შეიძლება იაფად იმგზავროს? ეკონომიკურად ისედაც გაჭირვებულ ქართველ გლეხკაცს ზედმეტი უღელი რატომ უნდა დადგას ვიღაცის ახირებამ?!

**თამაზ ნატროშვილი**
ხიღნაღის რ-ნი სოფ. მაღარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარლამ გენგიურის ფოტო

თავისუფალი საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს...“

**„ადექით!** სასამართლო მოდის!“

— ოციოდე კაცი, რომელიც დარბაზში სპეციალური საშვით იყო შემოსული, ფეხზე წამოდგა.

უსამართლო სამსჯავროს სკამზე სხედან სამნი... მათაც ეძახიან. ისმის:

— „განაჩენი!

... საქმეში არსებული მასალებით კოლეგიამ დადასტურებულად ცნო შემდეგი:

სამართალში მიცემულ ვახტანგ ამირანის ძე ჭითავას... ბრალი ედება იმის გამო, რომ მოქმედებდა რა საბჭოთა ხელისუფლების შესუსტების მიზნით, დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელების ერთერთ ფორმად საბჭოთა სახელმწიფოსადმი მტრული შინაარსის ფურცლების დამზადება და გავრცელება აირჩია.

ამ განზრახვის შესასრულებლად შეადგინეს ტექსტი, რომელშიაც ილაშქრებდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინააღმდეგ. მოუწოდებდნენ არსებული წესწყობილების დამხობისაკენ, 25 თებერვალს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ზეიმის ბოიკოტისაკენ, აცხადებდნენ საქართველოს ეროვნულ დღესასწაულს გლოვის დღედ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იხელმძღვანელა რა საქ. სსრ სსკ 303-304 მუხლებით, კოლეგიამ **დაადგინა:**

ჭითავა ვახტანგ ამირანის ძე ცნობილ იქნას დამნაშავედ საქ. სსრ სსკ 71 მუხლის 1 ნაწილით და მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლით მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, გადასახლებით 2 (ორი) წლის ვადით“.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საქმეთა კოლეგია

თავმჯდომარე — თ. გერსამია

ვ. ჭავჭანიძე

პროკურორი — კ. ნარსია

სახ. ბრალმდებელი — ო. ლომიძე

**საქმე № 201. ობილისი, 1980 წ. 2 ოქტომბერი.**

— თერთმეტი წლის შემდეგ:

„ღია წერილი“ ქალაქის დამნაშავეთა სამყაროს ლიდერთა აშკარა თუ ანონიმ მფარველებს“.

. . . . . .

ფრიდონ კენკებაშვილი

რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.

ქ. რუსთავი, 1991 წ. 11 ივნისი, გაზეთი „რუსთავი“ № 86

ასეთია წუთისოფელი. ბრუნავს ცხოვრების ბორბალი. ხდება საოცრებები. მაგრამ ადამიანი ისეთი ყოფილა, რომ ყველაფერს უძლებს. თურმე ვერ გაუძლეს მარტო ყურებმა. ოჯახში, სადაც გავიზარდე, ჩემი წინაპრები ამბობდნენ! „ყურებს რომ ყველაფერი არ ესმოდეთ, ასე პატარები არ იქნებოდნენო“.

1980-დან 1991 წლამდე, საქართველოში ისტორიული ამბები მოხდა. ქართველმა ხალხმა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას წინამძღოლობით ორასწლიანი მონობიდან იწყო თავის დაღწევა. იმპერია, ეს ბრავალთავა ურჩხული, ძლიერია და მისი დამარცხება ადვილი არ არის. პროცესი ხანგრძლივი იქნება. იქნება მსხვერპლიც. წითელი კომპარტია, რომელსაც წილად ხვდა ყველაფერი დაენგრია და გაენადგურებინა — უკან იხევს. ის იყენებს ლოზუნგს „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“. თქვენ როგორ გგონიათ, მკითხველებო, განა ასე ადვილად შეურიგდება იმპერია დამარცხებას?! რასაკვირველია არა. ისინი ახლა იატაკქვეშ არიან. ლეგალურად კი ეროვნული დროშა აფრიალეს, წითელი ბილეთი საჯაროდ გადააგდეს და თავიანთი გაიძვერობით წინ გაიკრნენ. თქვენ იცით, რომ ეს ყველას არ ეხება, არიან პატიოსანი ადამიანებიც.

ამჟამად, საქართველოში აშკარა, დაუნდობელი ბრძოლაა გაჩაღებული ხელისუფლებისა და უდარდელი, რბილი სკამის მოპოვებისათვის, ჭორი და ინტრიგა ყვავს. ორგვლივ დაძრწიან უნებლიე თუ სპეციალური აგენტები. ხალხს ჭკუა-გონებას ურევენ, აღიზიანებენ. ფსიქოლოგიურად ძაბავენ. მათ უნდათ ეროვნული ძალები გათიშონ, ისინი ერთმანეთს დააჯახონ, ყველაფერი ერთმანეთში არიონ და ამით აკეთონ თავიანთი შავბნელი საქმეები; აქამდე დროშას რომ ფეხით თელავდნენ, იმავე დროშით ისევ სათავეში ცდილობენ მოქცევას.

ეს არის გაუგონარი პოლიტიკური ბრძოლა, რომლის ასავალ-დასავალი ბევრს არ გაეგება, და არც იციან რასა იქმან. კაცი, რომელიც თავისი დღე და მოსწრება მხოლოდ პირადულისთვის იბრძოდა, სად ეცალა ამისათვის. ის კი არა, ზოგი პოლიტიკოსიც შეიძლება შეცდეს თუ სათანადო გარემო არ შეექმნა, სიმტკიცე და გონი არ ეყო. ასეთი ხალხი ადვილად ((ედება, მას ისე მშვენივრად იყენებენ მოწინააღმდეგე ძალები და მათი უხილავი აგენტები, რომ თვითონ შემსრულებელნიც კი ვერ ხვდებიან რაშია საქმე. ასეთ ადამიანებს ჭკონიათ, რომ მათ პირადი მტერი ჰყავთ. ამაში ისინი დააჯერეს გაქნილმა ჭორიკანებმა, მეზღაპრეებმა და თავიანთი ცხოვრებით ინტრიგაში დახელოვნებულებმა. იყენებენ ადამიანურ ამბიციასაც. ამბობენ, რომ კეთილი ამბიცია არაფერი საძრახისი არ არისო, რაც ფრიად საეჭვოა. კეთილი ადამიანი ყოველთვის იბრძვის წინსვლისათვის, მაგრამ ამაში არაფრით არ გულისხმობს „რბილ სკამს“, უზრუნველ ცხოვრებასა და პირადი ოჯახის განდიდებას, რომლებიც სწორედ ამბიციის ატრიბუტებია. ადამიანის წინსვლას გამოხატავს მხოლოდ ბრძოლა სამართლიანობისა და სიმართლისათვის.

ძვირფასო მკითხველებო და ჩემო ამომრჩევლებო! ყველაფერზე ზემოთ თქმულმა დამაწერინა „ღია წერილი“ ქალაქის დამნაშავეთა სამყაროს ლიდერთა აშკარა თუ ანონიმ მფარველებს“, დაბეჭდილი გაზეთ „რუსთავში“ № 86. 1991 წ. 11 ივნისი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინააღმდეგე — მიტმასნილი ძალები და მათი აგენტები, კარგახანია იბრძვიან იმისათვის, რათა ერთმანეთს დაუპირისპირონ, დააჯახონ სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციები, თუ მათი ცალკეული წევრები. განსაკუთრებით კარგად მუშაობს იმპერიის სუკის (უშიშროების კომიტეტი) სპეციალური ჭორ-შემთხზველი და გამავრცელებელი განყოფილება. ყოველთვის ვითმენდი ყველაფერს იმისათვის, რომ არ მომხდარიყო ის, რისთვისაც იმპერია იბრძვის. თქვენი იმედიც მქონდა, მკითხველებო და ამომრჩევლებო, რომ თქვენ ჭორებს არ აჰყვებოდით. ამ მოთმენას უკვალოდ არ ჩაუვლია, მაგრამ მე რა ვარ იმასთან შედარებით, რაც ჩვენი სამშობლოა მისი განმათავისუფლებელი მოძრაობით. ყოველი წვეთი სისხლი, გაღებული სამშობლოსათვის, უკვდავი და ალალია. რომ გეფიცოთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აი რა ხდება გარდაბანში

## ანუ

### პასუხი გაზეთ „თავისუფალი სა ქართველოს“ კორესპონდენტის

### ირაკლი ლომოურის პუბლიკაცია აზე „რა ხდება გარდაბანში?“

**გარდაბნის** რაიონში ეროვნული ხელისუფლების ორგანო-პრეფექტურა სულ ოთხიოდე თვეა რაც ჩამოყალიბდა, ივლისის თვეში რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სტრუქტურისა და სამტატო განრიგის შესაბამისად განისაზღვრა პრეფექტურის სტრუქტურა, ჩამოყალიბდა პრეფექტის კაბინეტი, დამტკიცდა კაბინეტისა და მისი აპარატის მუშაობის რეგლამენტი, სამუშაო გეგმა, პრეფექტურამ რაიონის საკრებულოსთან ერთად აიღო ხელში სამეურნეო საქმეების ხელმძღვანელობა, უმჯობესდება კადრების შერჩევა, უნარისა და საქმიანობის, ეროვნულ მოძრაობაში შეტანილი წვლილისა და პატიოსნების ნიშნით ხდება ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურება, ღღითი ღღე მეტი წესრიგი მყარდება სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა პოლიტიკამ უარესად არასტაბილური ვითარება შექმნა სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში, ფაქტობრივად, იგი უმართავია, რადგან დღესაც არ არის შექმნილი მისი სწორი მართვის მექანიზმი. წლების განმავლობაში დაგროვებული, გამოფიტული ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით შემუშავებული გვაქვს კონკრეტული პროგრამა, რომლის გატარების შედეგად რაიონის ბიუჯეტში 2 მილიონ 542 ათასი მანეთის დეფიციტი უკანასკნელი 4-5 თვის განმავლობაში მთლიანად დაიფარა და დღეისათვის ბიუჯეტში 1 მილიონ 800 ათასი მანეთის მოგება გვაქვს. რაიონის ეკონომიკის გაჯანსაღების პარალელურად მიმდინარეობს მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. ამ მიზნით ყველა საკრებულოში ტარდება გაფართოებული სესიები. რომელშიც პრეფექტურის კაბინეტი და სამსახურების ხელმძღვანელები მონაწილეობენ. ყველა საკრებულო სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტულ გეგმას ამტკიცებს მომავალი 2-3 წლისათვის. ამის პარალელურად რაიონში მიმდინარეობს სტიქიის შედეგად მთიანი აჭარიდან და სვანეთიდან გეგმიურად ჩამოსახლებულთათვის სოფლების მშენებლობა. რესპუბლიკაში მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ რაიონმა 2 მილიონი მანეთის რესურსები გაიღო.

დაგნინებისა და გაპარტახების პირას მისული დაგვხვდა თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმის მერძევეობის კომპლექსი, სართიჭალის მერძევეობის, ნაზარლოს მეთესლეობის მეურნეობები, თბილისის ხეხილსანერგე, ახალი სამგორის მეურნეობა, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა და სხვა წარმოება-დაწესებულებები, ამ საწარმოთა და მეურნეობების ხელმძღვანელებს უნდა ეყოთ ვაჟკაცობა, თავად გადადგნენ დაკავებული თანამდებობებიდან, როცა ისინი საქმეს თავს ვერ ართმევენ და მის გამოსწორებასაც არ გვპირდებიან. ათეული წლების განმავლობაში რაიონში ვამეფებული გაუკეთხოობა, მიწების დატაცება, მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება, უკანონო მშენებლობანი, გამოძალვა, მექრთამეობა, კორუფცია, ნათლიმამობა და სხვა მრავალი სიმახინჯე ქრონიკულ ხასიათს იღებდა და პატიოსან მშრომელ კაცს კისერზე აუტანელ ტვირთად აწვა.

რაიონის მოსახლეობას გაუჩნდა იმედი ეროვნული ხელისუფლების ახალი ორგანოების მიმართ, მაგრამ ასპარეზზე გამოჩნდა ახალი „ძალა“ ამ ორგანოების სახელის გატეხვის მიზნით. „14“ — ქართული სოფლის“ სახელით მომჩივანი გ. ეპიტაშვილი, თ. გოზალიშვილი, ზ. ნოზაძე და სხვები, რომლებიც რაიონის ძველი მაფიის მსახურები არიან, დღედაღამ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების წინ ათენ-აღამებენ, რათა თავი მოაჩვენონ დევნილებად და დაჩაგრულებად. ჩვენ გვაქვს ფირი, რომელზეც აღბეჭდილია, როგორ იცემს ზოგიერთი „დაჩაგრული მომჩივანი“ გულზე მჯიღს, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დარჩება კომუნისტად და იბრძოლებს კომუნისტური რეჟიმის შესანარჩუნებლად და ეს ხდებოდა სწორედ ისტორიული 28 ოქტომბრის არჩევნების წინა პერიოდში.

კომისიის წევრებმა, ყოველნაირად იგნორირება გაუკეთეს რაიონის საკრებულოს მდივნის და რაიონული დეპუტატების მოთხოვნას დასწრებოდნენ კომისიის მუშაობას, რომელსაც შემოწმების აქტიც კი არ შეუდგენია. რაიონული საკრებულოს სესიამ მეორე დღესვე მიიღო თავის სხდომაზე მიმართვა პროტესტის ნიშნად პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე.

სტატიაში მოყვანილია გარდაბნის რაიონის სტატისტიკური ბიუროს მონაცემები, რომლის მიხედვით თითქოს თქვენ მიგიდიათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი „სვანური წარმოშობის ქართველი“ ცხოვრობს გარდაბნის რაიონში. ანერბაიჯანულმა მოსახლეობამ თქვენი სტატიის გამო საპროტესტო დეპეშები გაგზავნა პრეზიდენტის, უზენაესი საბჭოს და სხვა ორგანოების მისამართით (ასლი თან ერთვის).

კორესპონდენტი წერს, რომ „ქალბატონმა ლეილამ-განაცხადა, რომ მათ ნახეს ფირი, სადაც აღბეჭდილია, თუ როგორ ემუქრება პრეფექტი საკრებულოს წევრებს ია-რაღით“. ეს ბრალდებაც მტკნარი სიცრუეა, თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი ფირი ბუნებაში არ არსებობს და არც არსებობდა, საინტერესოა, რატომ არ წერს ბატონი ირაკლი ლომოური ქალბატონმა ლეილამ სად ნახა ან ვინ აჩვენა ფირი, რაც შეეხება სტატიის ნაწილს, სადაც მე განვაცხადე პრეფექტად მუშაობის სირთულის შესახებ, მართლაც ძნელია მუშაობა იმ პირობებში, როდესაც არასპეციალისტები, მუსიკოსი ქალბატონები ამოწმებენ რაიონის სამეურნეო საქმიანობას, რის გამოც სტატიაში გაბმულია ობობას დახლართული ქსელი, რათა მკითხველს გაუჭირდეს გაერკვეს, სად სიმართლეა, სად ცილისწამება და ტყუილი.

სტატიის გამოქვეყნებისთანავე გაზეთის რედაქტორისა და ჩემს სახელზე შემოვიდა რაიონის მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებელის ჟ. წერედიანის, განათლების განყოფილების, აგროკომბინატ „გარდაბნის“ ხელმძღვანელების პროტესტი. (თან ერთვის).

„14 სოფლის წარმომადგენლები“ სინამდვილეში თითზე ჩამოსათვლელი ხალხია, რომლებიც შეიძლება ითქვას, რომ პროფესიონალი მომჩივნები არიან, მათ წინასწარ აქვთ დასახული მიზანი, იციან თუ რისთვის იბრძვიან, საკმაოდ კარგად აქვთ მოგვარებული საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის საკითხი. მეტსაც ვიტყვი, აოსებობს სანდო წყაროები, რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ დასტურდება მათი კავშირი რაიონის ყოფილ ხელმძღვანელებთან და ჯერჯერობით ისევ თბილ სავარძლებში მოკალათებულ, ტყავშეცვლილ „მამულიშვილებთან“, რომლებიც მგლის ყნოსვით გრძნობენ მოახლოებულ საფრთხეს და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლებიან ყველას, ვინც მოინდომებს მათ „ხელის ხლებას“.

ზოგადი მსჯელობა რომ არ გამოვიდეს, რამდენიმე კონკრეტულ ფაქტს მოვიტან იმ „გარდაბნელების“ შესახებ, რომლებიც წერილში არიან მოხსენებული — ქალბატონი ზ. ნოზაძე ძველი დროის ნოსტალგიით შეპყრობილს უფრო გავს, ვიდრე ობლების გამზრდელ მამიდას (სხვათა შორის, ის ობლები კარგა ხანია არასრულწლოვანთა ასაკს გასცდნენ და საკუთარი შრომით ირჩენენ თავს), ქ-ნ ზეინარს უფრო სოციალისტური მშენებლობის აღმავლობისადმი მიძღვნილი სტატიები არ აძლევენ მოსვენებას, რაც ასე უხვად იყო ხოლმე რაიონულ გაზეთ „სამგორში“ და რასაც გასავალი აღარ აქვს დღეს. — ეს კი, როგორც ვიცით, პირდაპირპროფესიონალი ჰონორარის და განსაზღვრავს უპერსპექტივო ზარალიანი გაზეთის კორესპონდენტის ცხოვრების დონეს.

ქ-ნ გულნაზ ეპიტაშვილი „გარდაბნელებიდან“ გამოირჩევა დიდი გამოცდილებით და პროფესიონალიზმით. მკითხველიც განგებ შეყავთ შეცდომაში, როცა მიუთითებენ, რომ იგი გარდაბნის საბავშვო ბაღის გამგეა, სინამდვილეში სოფელ მარტყოფის საბავშვო ბაღის გამგეა, არის მარტყოფის საკრებულოს დეპუტატიც (ამ ბოლო დროს სესიებს რატომღაც აღარ ესწრება). თუმცა, რას მოიცლის, როცა რაიონში „ფეთქებადსაშიში“ ვითარებაა და აფეთქება რომ არ მოხდეს აღმა-დაღმა დააგელვებს შინდისფერ „მოსკვიჩს“, ავტომანქანა კი მეურნეობის ბალანსზეა და ახლა მის ავტოფარეხში უნდა იდგეს, რადგან ბაღი ზაფხულში არ მუშაობს, ამას დაუმატეთ უბენზინობა, სათადარიგო ნაწილეობის სიძვირე და მიხვდებით, რა არჩენს ორი სტუდენტი შვილის მარტოხელა დედას დღევანდელ პირობებში. დაინტერესებულ კომისიას შეეძლო სოფლის საკრებულოში დაგზე მოქალაქეთა „ეფექტურობის“ შესახებ. პროკურატურის, შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციებს თან ვურთავ (რაც შეეხება ფირიცხალანის საქმეს, — წინაწარი გამოძიება შეჩერდა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის III პუნქტით).

„დაჩაგრულ მომჩივანთა“ შორის სტატიის ავტორს ყველაზე მეტად რაისაბჭოს აღმასკომის მდივნის ბატონ თ. გოზალიშვილის ბედი აწუხებს. თან დასძენთ — „თუ დასაუბერი იყო — ნეტა რატომ არ დაიჭირესო“.

მინდა გიპასუხოთ, რომ რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილ მდივანზე თ. გოზალიშვილზე ბრძანება განთავისუფლების შესახებ დაიწერა 1991 წლის 17 ივნისს შვებულების დამთავრების შემდეგ რაისაბჭოს აღმასკომის აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 27 მაისის №432 დადგენილებისა და რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 42³ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ხოლო მისი რაიონის საკრებულოს მდივნად არჩევა არც თვითონ და არც დეპუტატებს არ მოსვლიათ აზრად თუნდაც იმიტომ, რომ ის არ გახლდათ რაიონული საკრებულოს დეპუტატი. რაც შეეხება სტატიის ავტორის ინტერესს, თუ რატომ არ მივეცით იგი სამართალში — გაცნობებთ, რომ თ. გოზალიშვილის საქმე თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის უახლოეს პერიოდში გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს.

სტატიაში მოყვანილი საფინანსო დარღვევა, რუბენ ნასყანის სახელზე რუსთაველის საზოგაოების მიგრაციის ფონდიდან მის პირად ანგარიშზე ჩარიცხული 450 ათასი მანეთი, გაურკვევლობის და მის სისწორეში ეჭვის მიტანის გამო, ბანკის მიერ კომისიის მოსვლამდე გაცილებით ადრე, ანგარიშზე დადაღა იქნა დადებული, რაზეც ბანკის მიერ ინფორმაცია გაიგზავნა რესპუბლიკური შემნახველი ბანკის გამგეობის სახელზე შემდგომი რეაგირებისათვის.

სტატიაში კოოპერატივ „დილას“ შესახებ გამოთქმულია შენიშვნა, რომ მის მიერ დამზადებული სამკერვალო პროდუქციის 77,3 პროცენტი რეალიზებულია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, აღნიშნული პროდუქცია დამზადებული და რეალიზებულია 1990 წლის 1 ივლისიდან, როდესაც რესპუბლიკის მთავრობას არ ჰქონდა მიღებული დადგენილება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პროდუქციის გატანის აკრძალვის შესახებ.

**(კი, მაგრამ უკანასკნელად როდის გაიტანა კოოპერატივმა პროდუქცია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ? — რედ.).**

რაც შეეხება ბიუჯეტში თანხის არ გადახდას — არც ეს შეესაბამება სიმართლეს, რადგანაც აღნიშნული თანხა გადარიცხულია 31 ივლისს, კანონით გათვალისწინებულ ვადებში, რაზედაც არსებობს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი მითითება. ამდენად დარღვევას ბიუჯეტში თანხის შეტანაზე ადგილი არ ჰქონია. **(კომისია გარდაბანში 17 ივლისს ჩავიდა. —რედ.).**

კოოპერატივ „ნინოს“ შესახებ გამოთქმულია კრიტიკა, რომ 28 ივნისს მოხდა კოოპერატივის წესდებაში ცვლილებების შეტანა, იქნა შემდეგ, როცა უკვე გაცლილი იყო საშვი პროდუქციის გატანაზე, კერძოდ, გაცვლითი ოპერაციების დამატება. სინამდვილეში 28 ივნისს რეგისტრაციაში გატარდა მოვალედაოგზავნილ მცირე საწარმო „ნინო“, გარდაბნის რაიონის პრეფექტურა, სთან არსებული საწარმოებისა ჩამოყალიბებაზე მოქალაქეთა განცხადებების განხილვისა და მათი მუშაობის [illegible] ოქმი №5 საფუძველზე, რომელიც ჩატარდა 27 ივნისს.

ამავე დროს აღვნიშნავთ, რომ კოოპერატივ „ნინოს“, რომლის მეშვეობით მოხდა ჩაის პროდუქციის გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, წესდებაში არავითარი ცვლილებები არ შეუტანია.

27 ივნისს კოოპერატივისათვის ჩაის გატანაზე საშვი გაიცა იმ პირობით, რომ რესპუბლიკაში სანაცვლოდ შემოიტანდნენ თვეზს, რაც ფაქტობრივად შესრულდა.

სტატიის დასკვნით ნაწილში რაიონის ფინანსური მდგომარეობა შეფასებულია უარყოფითად. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლება თქვენ არ გქონდათ მასალების შესწავლის გარეშე, თქვენ კი, სამწუხაროდ, ეს არ გაგიკეთებიათ.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად სტატიაში ჩვენს მიმართ კეთილმოსურნეობის კვალიც კი არ შეიმჩნევა, პრეფექტურა ღებულობს მასში მოყვანილ ზოგიერთ სამართლიან შენიშვნას და პირუთვნელ კრიტიკას გაითვალისწინებს მომავალში მუშაობის სწორად წარმართვისათვის.

ამა წლის 2 აგვისტოს გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“-ს ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაზე რიტორიკული შეკითხვით „რა ხდება გარდაბანში?“ შეძლებისდაგვარად გიპასუხეთ, თუ სინამდვილეში რა ხდება გარდაბნის რაიონში. გარდაბანში ხდება და კეთდება ის, რაც უნდა ხდებოდეს, ძველის ნგრევა [illegible] ახლის ჩამოყალიბება, ეროვნულის წინა პლანზე წამოწევა, მშვიდობის, შრომის, დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის შენება და არა ის, რაც გაზეთის კორესპონდენტი ი. ლომოურის წერილში მრუდე სარკიდანაა დანახული.

**რევაზ ონიანი**
**გარდაბნის რაიონის პრეფექტი**

---

### გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ რედაქტორს ქალბატონ მარიკა აბაიშვილს

გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ მიმდინარე წლის 2 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ბატონ ირაკლი ლომოურის წერილი „რა ხდება გარდაბანში?“

სამწუხაროდ, წერილში გაიპარა მეტად დასანანი ფაქტობრივი და ტერმინოლოგიური შეცდომები, რამაც გარკვეულად დაძაბა პოლიტიკური ვითარება გარდაბნის რაიონში.

გთხოვთ, რომ ამგვარი ნაჩქარევად დაწერილი წერილების გამოქვეყნებისაგან ამიერიდან თავი შეიკავოთ, რათა ხელოვნურად არ გაართულოთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შექმნილი ისედაც საკმაოდ რთული მდგომარეობა.

**იოსებ ბარათაშვილი,**
**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი მმართველობის ბიუროს უფროსი.**

**მინაწერი: რედაქციის თანამშრომლებმა აქამდე ახე ვიცოდით— ყოველი ჩვენგანი ან რაჭველია წარმოშობით, ან გურული, ან მეგრელი და ა. შ. ჩვენ ყველანი ([illegible] ქართველები ვართ, საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები; მაგრამ რაკი ხიტყვათშეთანხმებამ „სვანური წარმოშობის ქართველი“ ესოდენ გაუგებრობა და ვნებათაღელვა გამოიწვია, როგორც ჩანს, მოხერხებულ გამოთქმად იგი მართლაც ვერ ჩაითვლება.**

**ბოდიშს ვიხდით დასანანი უზუსტობისათვის და ვთხოვთ ჩვენს მკითხველებს, რომ ამ ტერმინოლოგიური კაზუსის გამო შრუდედ ნუ აღიქვამენ პუბლიკაციის შინაარსს და მის ეეშმარიტ სულისკვეთებას.**

**როდესაც ხ-ნი რ. ონიანი რედ-**

(დასასრული მე-5 გვ.)

# ჯვრისწერა საქართველოში

**ჯვრისწერის** ხალხური ტრადიცია საქართველოს სხვადასხვა მხარეში ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მაგალითად, ზოგიერთ კუთხეში ჯვრის დასაწერად ჯალი და ვაჟი თავის მაყრიონითერთ ცალცალკე მიდიოდა, ზოგან კი ერთად, ა.წ. «ფეფოფოს (მატარებლის) ჩასვლაში» რიტუალის შესრულების შემდეგ.

ეკლესიის კარი ნეფე-დედოფალს დაეტყობი ნდებოდა. სახამ თილოა გარეკეული თანხა (3-დან 10 თუმანამდე) არ გადაუხდიდა მპატიჟს, ეკლესიის კარი არ გაიღებენ ან მაინც ტაძრის შესაფარს ჩრმაიდგებენ. ეკლესიის კარის ჩაკეტვა ნეფე-დედოფლისთვის საქორფოლოს, ყველა თუ არა, უმეტეს ნაწილში საერთო მოკეტვა ეწინააღმეოდა. თეიმურაზ მეორე წერს:

«ეხონ ბუიძოვებმა ფეფოფოს, მოგეულნ ხალ ოიგი ანია, კარმა ფალუ ბუმეტ საფოლოს, ეიი ბათი წეკი ანია, ბმეს მეკეკლა მარკეტ მკარე ფარ, ბალეტინის კარიკა».

საქართველოს ის კუთხეებში, სადაც ქალი და ვაჟი ჯვრისაწერად ეკლესიაში ცალ-ცალკე მიდიოდა, ეკლესიაში ჯერ სასაკარმოს შეიკრებენენ და ბასრთნენ ჯვრისწერის სალოცავნი ფეფოლ, ტაძრის შეკეტილი ფიდვეკენი საფრეზეს წინ, ფიდვეკენენენ, ამის შემდეგ საქმარი შეიდოდა და მის ... ბეკერი ფეკენდა. ამ კუთხეებში კი, სადაც ნეფე-დედოფალი ერთად მიდიოდა, ეკლესიის ზეკიბიზეზე მოეფალი შეკვეტებოდა ანიეტელი სასალოთი ხალხი ქალ-ვაჟის ნალოლ ბიოეკარა ადამაწერდა. ამის შესახებ ბოგერი წარმოდგენილი ფარმაციული ბალეთინი ფეფოლ ფეფმბრმბ ქალთოვის ჯვრის ფფერი ან შეიძლებოდა. თუ მეიდელი ამას ბიონე ბაკეკეთებდა, მაგ ჯარიმას ბიდადაფეკენენენ და შეიძლება მეიდელობდან მოკეკეთოთ ბიოეკარ ... წარიამეკ საკოოლეთან ასეთი ერთიერთობისთვის საკრძოაკეკ ავარიმეტნენ. ამის შესახებ ბოგერი ცნობა ეკზიტა ეკლესიის ეროლანთან ეროლანთ ეროლანთ ... 1669 წლის წიგნში — თუ ჯვრიდაწერილ ეიკეკა ... ეიაიოლეთ, რომ ეს ... ფაბალეკი სამოდიდა ბ. (ალი) ძმოსა ბოიოთვას სამოთვეულ. აქვე ალნიშნეთა, რომ თუ მეიდელი ფეკმბრიე ბალ ბეკენენენ ... ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლონდ იზეიმოს მართლმსაჯულებამ

**დღეს**, დიდი ცვლილებების ეპოქაში, თავისუფლების გზაზე მდგარ საქართველოს რესპუბლიკას „კანონის უზენაესობის პრინციპის დასამკვიდრებლად ესაჭიროება სამართლებრივი სახელმწიფო, რომლის შესაქმნელადაც ორი უმთავრესი ამოცანაა გადასაწყვეტი:

1. ჩამოყალიბდეს სამართლის დემოკრატიული სისტემა დახვეწილი სახელმწიფო მექანიზმით.

2. არსებითად გადახალისდეს კადრები, რომელთაც ენდობათ ზნეობრივ-ინტელექტუალური საფუძველი ახლებურად მართონ საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

მართლმსაჯულება ბოლოსდაბოლოს უნდა მყარად დაეყრდნოს თანაბარი სიძლიერის ბრალდებისა და დაცვის ინსტიტუტს.

საბჭოთა სინამდვილეში თავდაყირა მდგომი მართლმსაჯულების სახლის არსებობის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა ადამიანთა ელემენტარული უფლებების დაუცველობა, ბრალდებულის უფლებათა უგულვებელყოფა, რაც ქმნიდა შესაძლებლობას, მრავალი უდანაშაულო დასჯილიყო.

სამოცდაათწლიანი კომუნისტური რეჟიმის „დასასრულებად" უნდა მივიჩნიოთ ჩვენში გავრცელებული უნდობლობა სამართლისადმი, ბრალდებულისა და დამნაშავის ცნების გაიგივება (უდანაშულობის პრეზუმფციის უგულვებელყოფა), რაც ვადასტურდა იქნა თეორიიდან სასამართლო პროცესებში და დამკვიდრდა ბრალდებისაკენ გადახრის სახელით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილ „კანონშემოქმედებით საქმიანობას ეწევა, ამასთანავე ყოველდღიურად ირაციონალ მომჩივანს იღებს. ძალიან გარკვეული ნაწილის ძოძიებები სამართლიანია, მაგრამ იმდენად ღრმა და მორეული შემოტანილი საჩივართა მიზეზები, რომ უდიდეს სიძნელეებს ვაწყდებით მცირერიცხოვანი ძალებით ამ პრობლემათა გადაწყვეტისას. მაგალითისათვის მ. ჩუბინიძის საქმეც იკმარებდა.

1985 წლის აპრილში ჰიათურის რაიონის სოფ. სკინდორის არასრული საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლის ნ. მოდებაძის გაუპატიურების ფაქტთან დაკავშირებით (რომელსაც შეეძინა ბავშვი) დანაშაულში ბრალი დაედო ამავე სკოლის ყოფილ მასწავლებელს მერსი გიორგის ძე ჩუბინიძეს. მას საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ 1986 წლის 17 იანვარს სასჯელის ზომად შეუფარდა 13 წლის პატიმრობა, 2 წლით გადასახლება, სასჯელის მოხდის შემდეგ აეკრძალა პედაგოგიური მუშაობა 5 წლით.

არის შემთხვევები, როდესაც გამომძიებელსა და მოსამართლეს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები არ აძლევს საშუალებას მართებული დასკვნა გაკეთონ. ეიცით შეუმცდარობის გარანტიით არავინ იბადება, არც ცივილიზებულ სახელმწიფოთა სამართლის სისტემა გამორიცხავს სასამართლო შეცდომას, მაგრამ მ. ჩუბინიძის საბრალდებო დასკვნა, განაჩენი, თუ მაღალი თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებები, ანტიპიროვნული სისტემის, ადამიანის ადეილადმი უსულგულო დამოკიდებულების, დაბალი პროფესიონალიზმის, ადამიანის აბუჩად აგდების, მისი დამცირებისა და სხვა მანკიერებათა კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს, თუმცალა დაცვა, მიუხედავად დაკანონებული პროცესუალური შეზღუდულობისა, საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე მოწოდების სიმაღლეზე იდგა. დაცვის კოლოსალურ შრომაზე და პრინციპულობაზე მეტყველებს საქმეში „ჩასუბული შუამდგომლობები და 88-გვერდიანი საჩივარი ზედამხედველობის წესით, რომლის ავტორიც მ. ჩუბინიძის ინტერესების დამცველი, ცნობილი ადვოკატი კ. ჭუმბურიძე გახლავთ?

საქმის განმხილველი სასამართლოსათვის კარგად იყო ცნობილი წინასწარი გამოძიების ადრეული სტადიიდანვე ორი გამოკვეთილი ვერსიის არსებობა. ერთ-ერთი ვერსია ეფუძნებოდა დაზარალებულ ნ. მოდებაძის წინააღმდეგობრივ და დაუჯერებელ ჩვენებებს, რადგან დაზარალებული იმყოფებოდა იმავე დანაშაულში მხილებული მამინაცვლის გავლენის ქვეშ. ხოლო მეორე ვერსია ემყარებოდა თანმიმდევრულ ჩვენებებს ოთხი ნეიტრალური მოწმისა, რომლებიც ამ საქმეზე სისხლის სამართლის აღძვრამდე ორი წლით ადრე ადასტურებდნენ ნ. მოდებაძის მამინაცვლის მიერ გაუპატიურების ფაქტს.

სასამართლომ ყურადღება არ გამახვილა იმ გარემოებაზე, თუ ვინ იყვნენ არსებულ ვერსიათა საფუძველზე დანაშაულში მხილებული პირები. ესენი კი იყვნენ ერთის მხრივ სამჯერ ნასამართლევი, ამორალური პიროვნება ივ. ფხალაძე, აგრეთვე ავტორიტეტშელახული ბ. ჩუბინიძის შესახებ: „შინაგანად მობილიზებული იყო, აშკარად ეტყობოდა რა გათამაშებული მზადყოფნა ბრალდების უარყოფის უკვე მყარად დაკავებული პოზიციიდან, სირცხვილისა და უხერხულობის ნაცვლად იგი გამოხატავდა გათამაშებულ აღშფოთებას, საგამომძიებლო პირობებში მოფიქრებული და დამუშავებული აქვს თავდაცვის სისტემა". საოცარია ამ დილეტანტური მტკიცებულების განაჩენში ბრალდების მტკიცებად მიჩნევის ფაქტი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი წარმოშობის ხელოვნურობას და მაკიაველიზმის პრინციპის „მიზანი ამართლებს საშუალებას" ერთ-ერთი საუკეთესო გამოვლენაა.

სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში დიდი ხანია დამკვიდრებულია დებულება — „ყოველგვარი ეჭვი, რომლის უარყოფაც სასამართლოს არ შეუძლია, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ". სასამართლომ უარყო ეს ჭეშმარიტება და კომუნისტური რეჟიმის დროს არსებული

# ოლონდ იზეიმოს მართლმსაჯულებამ

ძლებლობას, მრავალი უდანაშაულო დასჯილიყო.

სამოცდაათწლიანი კომუნისტური რეჟიმის „დასასრულებად" უნდა მივიჩნიოთ ჩვენში გავრცელებული უნდობლობა სამართლისადმი, ბრალდებულისა და დამნაშავის ცნების გაიგივება (უდანაშულობის პრეზუმფციის უგულვებელყოფა), რაც ვადასტურდა იქნა თეორიიდან სასამართლო პროცესებში და დამკვიდრდა ბრალდებისაკენ გადახრის სახელით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილ „კანონშემოქმედებით საქმიანობას ეწევა, ამასთანავე ყოველდღიურად ირაციონალ მომჩივანს იღებს. ძალიან გარკვეული ნაწილის ძოძიებები სამართლიანია, მაგრამ იმდენად ღრმა და მორეული შემოტანილი საჩივართა მიზეზები, რომ უდიდეს სიძნელეებს ვაწყდებით მცირერიცხოვანი ძალებით ამ პრობლემათა გადაწყვეტისას. მაგალითისათვის მ. ჩუბინიძის საქმეც იკმარებდა.

1985 წლის აპრილში ჰიათურის რაიონის სოფ. სკინდორის არასრული საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლის ნ. მოდებაძის გაუპატიურების ფაქტთან დაკავშირებით (რომელსაც შეეძინა ბავშვი) დანაშაულში ბრალი დაედო ამავე სკოლის ყოფილ მასწავლებელს მერსი გიორგის ძე ჩუბინიძეს. მას საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ 1986 წლის 17 იანვარს სასჯელის ზომად შეუფარდა 13 წლის პატიმრობა, 2 წლით გადასახლება, სასჯელის მოხდის შემდეგ აეკრძალა პედაგოგიური მუშაობა 5 წლით.

არის შემთხვევები, როდესაც გამომძიებელსა და მოსამართლეს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები არ აძლევს საშუალებას მართებული დასკვნა გაკეთონ. ეიცით შეუმცდარობის გარანტიით არავინ იბადება, არც ცივილიზებულ სახელმწიფოთა სამართლის სისტემა გამორიცხავს სასამართლო შეცდომას, მაგრამ მ. ჩუბინიძის საბრალდებო დასკვნა, განაჩენი, თუ მაღალი თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებები, ანტიპიროვნული სისტემის, ადამიანის ადეილადმი უსულგულო დამოკიდებულების, დაბალი პროფესიონალიზმის, ადამიანის აბუჩად აგდების, მისი დამცირებისა და სხვა მანკიერებათა კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს, თუმცალა დაცვა, მიუხედავად დაკანონებული პროცესუალური შეზღუდულობისა, საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე მოწოდების სიმაღლეზე იდგა. დაცვის კოლოსალურ შრომაზე და პრინციპულობაზე მეტყველებს საქმეში „ჩასუბული შუამდგომლობები და 88-გვერდიანი საჩივარი ზედამხედველობის წესით, რომლის ავტორიც მ. ჩუბინიძის ინტერესების დამცველი, ცნობილი ადვოკატი კ. ჭუმბურიძე გახლავთ?

ლი და არანაკლებად ამორალური დაზარალებული ნ. მოდებაძის დედა ლ. მოდებაძე, რომელმაც თითქოსდა მშობიაობამდე სამი დღით ადრე შეიტყო მცირეწლოვანი შვილის ორსულობის ფაქტი, და მეორეს მხრივ, წარსულშეუბღალავი, ნიჭიერი ახალგაზრდა პედაგოგი მ. ჩუბინიძე ოჯახით.

სასამართლო პროცესზე წინასწარ გამოძიებაში დაკითხულ მოწმეთა უმრავლესობა დაეპიროსპირდა გამომძიებელ ბ. ქობულაძეს, ამბობდა იგი ჩვენებების გამოძალვასა და გაყალბებაში, სასამართლომ ეს მნიშვნელოვანი ფაქტიც რეაგირებისა და შეფასების გარეშე დატოვა. უფრო მეტიც, სასამართლომ არად ჩააგდო საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო სამმართველოს პროკურორის შ. ლებანიძის წერილის ასული, სადაც აღწერილი იყო: „ნ. ბ. მოდებაძემ დაკითხვის დროს აჩვენა, რომ 1983 წლის ნოემბერში მაზარაძის რაიონის სოფ. შრომაში, ელეონორა ხომერიკთან ოჯახში სტუმრად ყოფნის დროს ღამით მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა მისმა მამინაცვალმა ივ. ფხალაძემ". (ეს ფაქტი ნ. მოდებაძემ 1991 წელს ფხალაძის სასამართლო პროცესზეც დაადასტურა). სისხლის სამართლის საქმიდან ანალოგიური შინაარსის ჩვენება შ. ლებანიძის მიერ შედგენილ დოკუმენტთან ერთად გაქრა. საბედნიეროდ ჩუბინიძეებს შემორჩათ ამ დოკუმენტის ასლი(?).

სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო დაცვის მიერ საფუძვლიანად დაყენებული შუამდგომლობები, მათ შორის საგამომძიებლო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ, რომლითაც თვალნათლივ დადასტურდებოდა დაზ. ნ. მოდებაძის უაღრესად საეჭვო და წინააღმდეგობრივ ჩვენებათა აბსურდულობა, ხოლო არაკანონიერი განაჩენის გამაგრების მიზნით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა კეთილსინდისიერი მოწმეები.

სამწუხაროდ არის შემთხვევები, როდესაც არა მარტო სამართალდამცავი ორგანოების სტრუქტურაში შემავალ საექსპერტო დაწესებულებების, არამედ მათგან საგამომძიებლო ორგანოები უკანონო ბრალდებათა გასამაგრებლად იყენებენ, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა თავისი თავზედმეთ, კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფით, არაპროფესიონალიზმით ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ფაქტიურად დასკვნის ავტორი თვითნებურად ითვისებს მოსამართლის ფუნქციას და წყვეტს ბრალეულობის საკითხს. აი რას სწერს „კომპეტენტური" ექსპერტი

დიდი თეორეტიკოს-პრაქტიკოსის ვიშინსკის საუკეთესობის პრინციპით დაადგინა განაჩენი. შემთხვევით არ გვიხსენებია წარსულში გაბატონებული რეპრესიები; სამწუხაროდ, პრაქტიკამ დღემდე შემოგვინახა ავადმოსაგონარ დროში გავრცელებული მცდარი შეხედულება, ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების მტკიცებულობათა დედოფლად(?) მიჩნევის შესახებ. მაგალითად, ერთ-ერთი უაზრის საქმეზე გამომძიებელი არ დასჯერდა ცემატყეპის შემდეგ ბრალდებულისაგან დანაშაულის აღიარების ფაქტს და აიძულა იგი პროკურორისათვის წერილი მიეწერა: „მიმეცეთ ოამე, გამომძიებელი არ მიჯერებს დანაშაულის ჩადენასო". ამ თვალსაზრისით მ. ჩუბინიძის გამომძიებელმაც „საკმაოდ იღვაწა". მართალია ვერ გატეხა ბრალდებულის რკინისებური ნებისყოფა, მაგრამ დაბნეულობის გარეშე მიმართა სხვა ნაკად ხერხს: მ. ჩუბინიძეს საკანში შეუგზავნა ნდობით აღჭურვილი, 8-ჯერ ნასამართლევი რეციდივისტი კუხალეიშვილი, რომელმაც შემდეგ „ლაღად" მისცა ჩვენება გამომძიებელს, მ. ჩუბინიძემ ჩემთან საუბარში გაუპატიურების ფაქტი აღიარაო, გამომძიებელმა ამ ჩვენებით კიდევ ერთი „უტყუარი" მტკიცება შექმნა. კუხალეიშვილი კი როგორც არასანდო, რუსეთის კოლონიებში, თუ ციხეებში გადაკარგა. განაჩენის ავტორებმა კი უყოყმანოდ და შეუმოწმებლად მიიღეს აღნიშნული ყალბი მტკიცება და განაჩენში მიუთითეს ერთ-ერთ უტყუარ მტკიცებულებაზე.

მიუხედავად მრავალრიცხოვანი და ხანგრძლივი საჩივრებისა, მ. ჩუბინიძემ თითქმის სამი წელი გაატარა პატიმრობაში, მხოლოდ 1988 წელს შეწყდა სისხლის სამართლის საქმე მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, რაც შეეხება შექმარიტების დადგენას და დამნაშავის დასჯას კი 6 წელი დასჭირდა. 1991 წლის 10 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს განაჩენით დაზ. ნ. მოდებაძის მამინაცვალი ივ. ფხალაძე, მ. ჩუბინიძის ბრალდების აქტიური მონაწილე და ორგანიზატორი, ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 19 და 196 მუხლის მეორე ნაწილის, 117 მუხლის მეოთხე ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14 წლით სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით. საბოლოოდ სავსებით დადასტურდა მ. ჩუბინიძის საქმეზე ჯერ კიდევ გამოძიების ადრეულ სტადიაზე არსებული ნ. მოდებაძის მამინაცვალ ივ. ფხალაძის მიერ გაუპატიურების ვერსია.

ჭეშმარიტების მიღწევაში დიდი წვლილი მიუძღვით მ. ჩუბინიძის დედმამიშვილებსა და ახლობლებს, მათი თავგანწირული ბრძოლა უდანაშაულო ახლობლის დასახსნელად, მოყვასისადმი თანადგომის საუკეთესო მაგალითია. ამჟამად ისინი სამართლიანად მოითხოვენ იმ პირთა სისხლის სამართლის წესით დასჯას, ვინც მოუშუშებელი ჭრილობა მიაყენა მათ პატიოსნებას. უპირველეს ყოვლისა მხედველობაში ჰყავთ გამომძიებელი პ. ქობულაძე, სანქციის გამცემი პროკურორი თ. ბობოხიძე. განაჩენის ავტორი, უმაღლესი სასამართლოს წევრი ლ. საყვარელიძე, სახელმწიფო ბრალმდებელი პროკურორი კ. ყიფიანი და სხვა თანამდებობის პირები, რომელთა აქტიური ქმედებით უდანაშაულო მ. ჩუბინიძე სამი წლის განმავლობაში გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში იხდიდა სასჯელს. ჩუბინიძეები ასევე სამართლიანად აყენებენ გახათლებისა და ჯანმრთელობის სისტემაში მომუშავე იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს უკანონო განაჩენის დადგენაში. ესენია: ქ. ჭიათურის განათლების განყოფილების გამგე ნ. წეროეთელი, მასწავლებელი დ. ტეფნაძე, ექთანი ჯ. კავთელაძე და სხვები. სწორედ ამ ხალხის დიდი მონდომებით აზვირთდა საზიზღარი ცილისმწამებლური ჭორი მ. ჩუბინიძის დანაშაულებათა შესახებ. თითოეულ მათგანს, როგორც ქ. ჭიათურის პროკურორს კ. ეემულაოიას წარდგენებებიდან ირკვევა, პირადი შური და მტრობა ამოძოავებდა, ამასთანავე თავადვე წარმოადგენდნენ უარყოფით პიროვნებებს (ქ. ჭიათურის პროკურატურის შემოწმებით მათ სამსახურებრივ საქმიანობაში, მრავალი სერიოზული დარღვევა გამომჟღავნდა).

სრული ჭეშმარიტებაა „უპირველესი იარაღი შურისა — ცილისწამებაა, ცილისწამება, როგორც სულდგმული, ცილისმკვლელი, მოქმედებს ბნელში, ან სამალავიდან ისვრის ისარს, რომელიც აწყლულებს გულს განუკურნებლად. უსამართლობა შეიძლება გასწორდეს, ხოლო რას უზამ იმ ტყვიას, რომელიც ხალხმა უკვე დაიჯერა? თუ სულგრძელობა ითხოვს მძარცველი ავაზაკისაგან დაიხსნა შენი მოყვასი, რამდენად ძლიერ უნდა ითხოვდეს იგი სულგრძელობას, იხსნას ადამიანი ცილისწამებისაგან, რომელიც სტაცებს მას უდიდეს და უძვირფასეს განძს, განძს სულიერსა".

მომხდარი ფაქტის ღრმა ანალიზისას მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ კონკრეტულ პირთა გარდა აღნიშნული სახის უსამართლობათა საფუძველს წარმოადგენს არადემოკრატიული მართლმსაჯულების სისტემა, სადაც უგულებელყოფილია პრინციპი — „სჯობს ათი დამნაშავე დაუსჯელი დაიარებოდეს, ვიდრე ერთი უდანაშაულო უსამართლოდ დაისაჯოს", სადაც ერთი უწყების, კერძოდ, პროკურატურის ხელშია თავმოყრილი მთელი ძალაუფლება და ფაქტიურად დაცვის ინსტიტუტის უარყოფით მკვდარია შეჯიბრებითობის ფუნდამენტალური პრინციპი, სადაც არ არსებობს გამოძიების დამოუკიდებელი, ერთიანი აპარატი და პროკურატურა თავს ვეღარ ართმევს კანონებზე ზედამხედველობის ფუნქციას, რისთვისაც მოწოდებულია იგი, სადაც მართლმსაჯულება არსებითად კი არ იხილავს საქმეს, არამედ ზედაპირულად ამოწმებს წინასწარი გამოძიების მასალებს.

1990 წ. 24 ნოემბერს სოფ. გრემის მცხოვრებლებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი ჩაბარაშვილი მოკლულის ბინიდან ოცი ოდე მეტრის დაშორებით მდგარ ბოძზე მიაბეს და ჩაქოლეს. ეს შემზარავი ფაქტი თანასოფლელების მიერ გამოხატული უმდაბლესი მარცხეულობაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ხალხის შურისძიების ობიექტს წარმოადგენდა არა მარტო ეჭვმიტანილი, არამედ ეს იყო ერთგვარი პროტესტი სამართალდამცავი ორგანოების ცუდი მუშაობის გამო. ანალოგიური საშიშროების წინაშე იდგა მ. ჩუბინიძეც, როდესაც სასამართლო სხდომის დაწყების წინ აღტკინებულმა და ზაქეზებულმა ხალხმა სხდომის დარბაზის კარები შემოგლიჯა.

სასამართლო პარქტიკაში ყოფილა მრავალი შემთხვევა უდანაშაულოთა მკაცრად, მათ შორის სიკვდილით დასჯისა. მარტო ვიტებსკის გახმაურებული საქმე რად ღირს, (14 წლის განმავლობაში ყოველწლიურად იზრდებოდა დაღუპულ ახალგაზრდა ქალთა რიცხვი, სულ 36 ქალის სიცოცხლე შეიწირა ერთმა დამნაშავემ. ამ ხნის განმავლობაში 11 სასამართლო პროცესზე გასამართლდა 14 უდანაშაულო ადამიანი, მათ შორის დასჯეს სიკვდილითაც. ჩვენ უნდა უარვყოთ დამნაშავეობასთან ბრძოლის რეპრესიული მეთოდი სასჯელთა გამკაცრების გზით. დანაშაულთა ზრდას არა სასჯელთა ჰუმანურობა, არამედ სახელმწიფოსა და სამართლის ანტიდემოკრატიული სისტემის უქონლობა, დაბალი პროფესიონალიზმი და უპატიოსნო თანამდებობის პირთა სიმრავლეც განაპირობებს.

„ფეხზე წამოდგომის მსურველს იშვიათად უპერს ვინმე მხარს, იმას კი, ვინც ძირს დასაცემად გამზადებულია, ხელს ბევრნი ჰკრავენ" (ბონაპარტე). ამ სიტყვების ავტორს მართლაც დაეჯერება, ალბათ იშვიათია კაცი, მასავით შეეცნოს დიდებისა და დაცემის ავკარგი. კომუნისტური დიქტატის დროს ეს პრინციპი სისტემატური ხასიათის იყო, რადგანაც ყოველივე სახელმწიფოებრივი, უაზრო იდეებსა და თეორიებს იმსახურებდა, ხოლო სახელმწიფო აპარატი ცალკეულ ბიუროკრატთა კეთილდღეობის საწინდარი გახლათ. ასეთ პირობებში ინფორმაციის საშოალებები მეტად ქმედითი იარაღი იყო მავანთა ამბიციების დასაკმაყოფილებლად და ხშირად მისი საშუალებით ესროდნენ ქვას ძირს დასაცემად განწირულებს. ამ მხრივაც მ. ჩუბინიძის საქმე ერთ-ერთი თვალსაჩინოა. „იურისტის პროფესია მეტად პრესტიჟულია, მაგრამ განა ყველა მათგანს აქვს შეგნებული ამ პროფესიის სიმძიმე? იცის ყველამ, რომ მის მიერ დაშვებული შეცდომა საბედისწეროდ შეიძლება ექცეს ადამიანებს? ძვირად დაუჯდეს საზოგადოებას?" ასე იწყება საგაზეთო წერილი გამომძიებელ პ. ქობულაძის „საქმეთა საგმიროთა" შესახებ, სადაც კორესპონდენტის კითხვაზე — მაინც რომელმა საქმემ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილებაო, პ. ქობულაძე პასუხობს: „დაფიქრებაც არ დამჭირდება ისე გეტყვით. ეს იყო ჰიათურაში მომხდარი შემზარავი დანაშაული. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ჩუბინიძემ გააუპატიურა თავისივე არასრულწლოვანი მოსწავლე". დიდების ზენიტში მყოფი გამომძიებელი (იგი დაჯილდოვდა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში დამსახურებისათვის მედლით — „შრომითი წარჩინებისათვის", რესპუბლიკის პროკურატურაში გადაიყვანეს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად) შემდეგი სიტყვებით აგვირგვინებს ინტერვიუს — „პირადად მე, განუხრელად მივყვები ძველი რომაელების, ერთი შეხედვით, პარადოქსულ გამონათქვამს: „ოლონდ იზეიმოს მართლმსაჯულებამ და თუნდაც დაეშხოს სამყარო". რომაელების რა მოგახსენოთ, მაგრამ თუ პ. ქობულაძის ნათქვამში მართლმსაჯულებას ბრჭყალებში მოვაქცევთ, იგი მონათხრობის ფონზე მართლაც ამ პრინციპის ერთგულ დამცველად გვევლინება.

პრესამ, ტელევიზიამ, რადიომ და ინფორმაციის სხვა წყაროებმა უდ-

(დასასრული №-7 ბ3.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მსაჯული მართლ სჯიდეს...“

**ჩვენი** გაზეთის ერთ-ერთ ნომერში (28.VI. 1991 წ. №23 (28)) გამოქვეყნდა ქალბატონი ირინე ტალიაშვილის წერილი „ყურადღებას ვთხოვთ ქალაქის და რესპუბლიკის პროკურატურას, „ჯაყოს ხიზნების“ თანამედროვე ვარიანტი, ანუ „ანდერძი“. პუბლიკაციას დიდძალი გამოხმაურება მოჰყვა. რედაქციაში მოდიოდნენ სასამართლოსა და პროკურატურის საქმიანობით განაწყენებული ადამიანები თავიანთი კერძო პრობლემებით. აგრეთვე, მობრძანდნენ ისინი, ვისაც უშუალოდ ეხებოდა პუბლიკაციაში მოთხრობილი ამბავი და ისინიც, ვისი მუშაობის სტილიც გაკრიტიკებული იყო წერილში.

უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული მობილიზება (სხვათა შორის — მობილურობაც) რესპუბლიკის პროკურატურამ გამოიჩინა: ჩატარდა კოლეგიის სხდომა, ამის შესახებ წერილობით ეუწყა რედაქციას (იხ. „თავისუფალი საქართველო“, № 28, 2.VIII. 1991), პირადად მობრძანდა რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლო ორგანოებში კანონიერების დაცვის განყოფილების უფროსი, ქ-ნი მანანა ქურდაძე. რამდენიმე დღეში გვეწვია სამართალმცოდნე, ქ-ნი ნანა ქურდაძე ვრცელი წერილით და დაწვრილებითი დოსიეთი ლიდა თვალჭრელიძის პიროვნებისა და მისი თითქმის ყველა ნათესავის ყოფა-ქცევისა თუ საბინაო მდგომარეობის შესახებ.

გავიცანით, აგრეთვე, წერილში ნახსენები დუდაევების ოჯახის წარმომადგენლები (ამჟამად ისინი დუდაურებს უწოდებენ თავის თავს), შევიტყვეთ მათი მეზობლების უარყოფითი აზრი ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილზე. სხვათა შორის, მეზობელთა და დუდაურების განცხადება ერთი პიროვნების დაწერილია. ორივეში ერთიდაიგივე სპეციფიური შეცდომები გვხვდება (მაგალითად, ორივე განცხადებაში სიტყვა „ხუთი“ შემდეგნაირად იწერა — „ხ-თი“), მივიღეთ ბარათი ტელერადიო კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის ქალბატონ ივლიტა მესხიშვილისაგან, წავიკითხეთ ქერჩის საპატიო მოქალაქის ქ-ნ ალექსანდრა ლეჟავას განცხადება. ერთი სიტყვით, ქალბატონი ირინე ტალიაშვილის წერილმა ახალი ნაცნობობითა და მოვლენებით აღსავსე ერთი თვე გვაჩუქა. მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ ყველა ხსენებულ პირთა დამოკიდებულება საგაზეთო წერილის მიმართ ერთნიშნად უარყოფითი იყო. გაზეთს არავითარი შესაძლებლობა არა აქვს გამოაქვეყნოს ყველა ის წერილობითი პრეტენზია, რომელიც ჩვენს მიმართ გაჩნდა. ერთს კი დავსძენთ — ამ ერთმა თვემ უფრო ღრმად ჩაგვხედა საქმის ვითარებაში და დაგვარწმუნა, რომ პუბლიკაციაში ზოგიერთი უზუსტობაც არის დაშვებული და შეცდომაც.

ოპონენტთა უმრავლესობა გვედავება, რომ ლიდა თვალჭრელიძის ნამდვილი (მამის) გვარი არაქართული წარმოშობისაა, ამიტომ საჩოთიროდ ჟღერს მისი გვარის მიკუთვნება „ძირძველი ქართული ინტელიგენციისათვის“. თუ ეს მართლა ასეა, ჯობდა, ლიდა თვალჭრელიძეს თავიდანვე სიმართლე ეთქვა... ავირიდებდით უხერხულობას.

ტყუილი აღმოჩნდა ისიც, რომ „1957 წელს დამთავრდა სახლის მშენებლობა და მაშინვე ტექნიკუროს მიერ ვერა ჯავახის სახელზე აღრიცხულ იქნა პირადი საკუთრების სახლი, შემდგარი ხუთი სადგომისაგან (ოთხი ოთახი და ერთი სამზარეულო)“. გაირკვა, რომ ხუთი სადგომი, არც მეტი, არც ნაკლები, ათოთახიანი სახლია (!)...

იმის გამო, რომ ჯავახის სახელზე რიცხული სახლი პროექტის დარღვევით აშენდა, იგი უკანონოდ ჩაითვალა და კომუნალურ ფონდს გადაეცა. ვინაიდან სახლი არა კერძო, არამედ კომუნალურ საკუთრებად აღირიცხა, ანდერძის მფლობელმა, ბუნებრივია, დაკარგა მასზე უფლება. ასეთია მოკლედ საქმის ვითარება (ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს ბატონი რაზმაძის წერილიდან („თავისუფალი საქართველო“ №28, 2. VIII). სამწუხაროდ, არც ეს ფაქტი აისახა ქ-ნი ირინე ტალიაშვილის წერილში.

მაგრამ... მიუხედავად თვალში საცემი უზუსტობისა თუ შეცდომებისა, ქ-ნი ირინე ტალიაშვილის წერილი სრულიად დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. რატომ? იმიტომ, რომ მისი არსია სწორი — უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი — პრინციპი, ამოსავალი პოზიცია. ყველაფერი გეცნობა ამ წერილში — სუსტის ჩაგვრა, ძლიერის მხარდაჭერა, ადამიანის შეურაცხადად მონათვლა, მართლმსაჯულების მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედება, ქრთამი, პროტექცია, კორუფცია, უსამართლობა. ეს ხომ ყველაფერი ნაცნობი და ახლობელია, ყოველი ჩვენგანის უშუალო გამოცდილებას შეადგენს. ამიტომ ჟღერდა წერილი ზუსტად და დამაჯერებლად. ახლაც, მიუხედავად კონკრეტული შეცდომებისა, ზოგად არსს მაინც სრულად გადმოსცემს. ამიტომ არის ის მართალი და აქტუალური. რამდენი საპროტესტო წერილიც არ უნდა დაიწეროს მის საწინააღმდეგოდ, ქ-ნი ირინე ტალიაშვილის პუბლიკაცია სიმწვავეს ვერ დაკარგავს.

მინდა რამდენიმე ციტატა მოვიყვანო ქ-ნ ნანა ქურდაძის ღია წერილიდან ქ-ნ ირინე ტალიაშვილის მიმართ, რომელიც ჩვენს სამხილებლად არის დაწერილი და მრავალ მანკიერებაში სდებს ბრალს როგორც ქ-ნ ირინეს, ასევე რედაქციას.

„თუ ადამიანები კანონის ზემოთ დადგებიან, კაცობრიობის ბედი საფრთხეში აღმოჩნდება და აქედან გამომდინარე, ჩვენთან თუ კანონი არ იარსებებს და არ იმოქმედებს ყველას მიმართ, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, სოციალური მდგომარეობისა და თანამდებობისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო დაიღუპება — ამ საკითხზე მეორე აზრი არ არსებობს“.

„მოსამართლე დამოუკიდებელია, იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონით, არავის არ აქვს უფლება ჩაერიოს მის საქმიანობაში, უბრძანოს საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტა და აქედან გამომდინარე, საინტერესოა, თქვენ რა დამამტკიცებელი საბუთი გაქვთ, რომ მოსამართლემ საქმე გადაწყვიტა მესამე პირის მითითებით“.

„ყველა საზოგადოებრივ წყობილებაში სამართალდამცავი ორგანოები ექვემდებარებიან მხოლოდ მთავრობის მიერ გამოცემულ კანონების მოთხოვნილებას, ე. ი. მოქმედ კანონმდებლობას და არაფერ შუაშია საბჭოთა ხელისუფლების წიაღიდან ამოზრდილი ქართული იურისპრუდენცია“.

„ასევე მინდა იცოდეთ, რომ რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობას დიდი წვლილი მიუძღვის ეროვნული მოძრაობის საკეთილდღეოდ“ (სტილი ყველგან დაცულია — თ. ე.).

ახლა მინდა დავსვა კითხვა — თუ არსებობს საქართველოში ერთი ადამიანი მაინც, ვისაც სჯეროდეს ამ სიტყვების სიმართლე? ვისაც ეგონოს, რომ ქართული იურისპრუდენცია მარად ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე იდგა, სასამართლო დამოუკიდებელია, კანონი ყველაზე მაღლა დგას, პროკურატურა პრინციპულად უდგას სამსახურში სამართლიანობას, რომ ჩვენს ქვეყანაში ძნელად მოიძებნება მექრთამე მოსამართლე და გამომძალავი პროკურორი, რომ სამართალდამცავი ორგანოების ყველა საფეხური სწორედ სამართლის გამარჯვებას გმსახურება?!

არსებობს ასეთი ადამიანი დღეს საქართველოში? სამწუხაროდ, არ არსებობს იმიტომ, რომ თითოეულმა ჩვენგანმა შესანიშნავად იცის, 70 წლის მანძილზე ქრთამსა და კორუფციაში ჩაფლული სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები ისე ვერ იცვლიდნენ ფერს, რომ კანონის სახელით ჩადენილი ყველა უკანონობა სამუდამოდ წარსულს ჩაბარებოდა.

ახლა მეორე კითხვა მინდა დავსვა — თუ უნახავს საქართველოში ვინმეს ხელმოკლე პროკურორი, ღარიბი მილიციის უფროსი, უქონელი მოსამართლე? ესეც რეტორიკული შეკითხვაა — არავის უნახავს (უმცირესი და უიმშვიათესი, სრულიად არაბუნებრივი გამონაკლისის გარდა!)

მაშ, რატომ აძლევს თავს უფლებას ქ-ნი ნანა ქურდაძე, პროფესიით სამართალმცოდნე, ასე თამამად, უსირცხვილოდ, ყელმოღერებით საწინააღმდეგო ამტკიცოს? — „რა ქნას ქართულმა იურისპრუდენციამ, თუკი მომრავლდნენ „ურწმუნო თომას“ ნაირნი და მათი მსმენელნი?“

იმიტომ მხოლოდ, რომ ჩვენ პასუხი არ მოგვითხოვია არც ერთი მათგანისათვის, ვინც ჩვენში ურწმუნოება, უსამართლობა, განუკითხაობა, უკანონობა დაკანონა. დუსიჯლობა ალაპარაკებს ასეთი თავმოწონებით ქალბატონ ნანა ქურდაძეს, ქართული (ჯერ კიდევ საბჭოური, რაღეთუ ფერუცვლელი) მართლმსაჯულების ერთ-ერთი საფეხურის ერთგულ თანამშრომელს.

ქართველი კაცი ბრძენია და შესანიშნავად ესმის, რომ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის სტილი სრულიად ეთანხმებოდა საბჭოეთში გამეფებულ საერთო ატმოსფეროს, ამიტომ ცალკეული ადამიანებისათვის პასუხის მოკითხვა საყოველთაო უზნეობის გამო, უაზრობად ჩანდა. ჩვენც დავხუჭეთ თვალი ბევრ მანკიერებაზე და სამართლიანად მივაწერეთ ისინი საბჭოურ წყობას. სიძულვილიც და პროტესტიც მასზე გადავიტანეთ. მაგრამ ნურავის ექნება იმის იმედი, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება. ჩვენ აღარ გვაძლევს ხელს ის წყობა, სადაც მართლმსაჯულება უკანონობის სადარაჯოზე დგას (ჩვენი არჩევნები და რეფერენდუმი ამის დასტურია). **ძველისათვის პასუხის არმოთხოვნა** არ ნიშნავს იმას, რომ შემდგომშიც ვაპატიებთ ვინმეს უკანონობასა და განუკითხაობას. ამიტომ გულში ხელის ბაგუნს და იმის მტკიცებას, რომ „თუ კანონს არ დავემორჩილებით, სამართლებრივ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ“, ჯობს სერიოზულად დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ დავუბრუნოთ დაკარგული ღირსება და რეპუტაცია სამართალდამცავ ორგანოებს და თუ მართლა გსურთ კეთილ ბედს სწოროთ თქვენი სამშობლო, იზრუნეთ, რათა რაც შეიძლება ნაკლებად ისმოდეს პრეტენზია თქვენს მიმართ.

**თამარ ებრალიძე**

P.S. რაც შეეხება რედაქციას, ამ კონკრეტული საქმის ლაბირინთების კვლევა სცილდება ჩვენს კომპეტენციას. ჩვენ ამის არც უნარი შეგვწევს, არც იურისპრუდენციის სათანადო ცოდნა გვიმაგრებს ზურგს, მაგრამ ჩვენის გულუბრყვილობით და უცოდინარობით ერთი კითხვა გვებადება, რომელსაც ვერ ვიშორებთ. ამიტომ ვბედავთ მის საჯაროდ დასმას — თუ შეიძლება, რომ უკანონოდ აშენებული სახლის 10-ვე უკანონო ოთახში დუდაევი-დუდაურები ცხოვრობდნენ და მრავლდებოდნენ, რატომ არ შეიძლება, რომ იგივე უკანონო სახლის გარკვეული ფართი, ანდერძის თანახმად, თვალჭრელიძესაც ეკუთვნოდეს. მით უმეტეს, რომ იგი საბინაო აღრიცხვაზე იმყოფება 1972 წლიდან? ვერაფერით გაგვირკვეია, როგორ აღმოჩნდა ერთიდაგივე სახლი თან კომუნალურ, თანაც კერძო მფლობელობაში? იქნებ დუდაევისა და თვალჭრელიძის მიმართ მართლაც სხვადასხვა კანონი მოქმედებს?

ვთხოვთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედ კომისიას დაწვრილებით შეისწავლოს ეს საკითხი და კომპეტენტური სიტყვა თქვას სიმართლის დასადგენად.

P.P.S: გუშინ რედაქციაში დაგვირეკა დუდაევი-დუდაურის ოჯახის წარმომადგენელმა ქალბატონმა, რომელმაც ერთობ მორიდებით გვკადრა, რომ თუ საქმე მისთვის სასურველი შედეგით არ დასრულდა, „შეიძლება იძულებული გახდეს საზღვარგარეთ გაიტანოს ეს ამბავი“.

მავანთა და მავანთა მიერ დანერგილ მოდას აყოლილ ქალბატონს მოვახსენებთ — სადაც უნდა იქ წაბრძანდეს თავისი სარჩივრით, მითუმეტეს, რომ ამ საქმეში ის პირველი არ იქნება. მაგრამ იმასაც დავსძენთ, რომ ამგვარ განცხადებას პოლიტიკური შანტაჟის შცდელობის კვალიფიკაცია შეიძლება მიენიჭოს, ამიტომ ოფიციალურად გიცხადებთ — თქვენი მუქარის არავის ეშინია!

# ოლონდ იზეიმოს მართლმსაჯულებამ

**დასასრული**

იდესი როლი უნდა შეასრულონ საზოგადოების მართლშეგნების დონის ამაღლების საქმეში, იგი უნდა გახდეს პიროვნების უფლების ობიექტური და პრინციპული დამცველი და არა პიროვნების წინააღმდეგ მიმართული იარაღი, როგორც ეს წარსულში მ. ჩუბინიძისა თუ სხვათა მაგალითზე მოხდა.

დაბოლოს, ჩვენი წერილი კვლავ გამომძიებელ პ. ქობულაძის სიტყვებით გვინდა დავამთავროთ: „დემოკრატიისა და სამართლიანობის აღარ სჯერათ, როცა დაუსჯელნი რჩებიან ჩვენი საზოგადოებისათვის მიუღებელი ანტიპოდები. ამიტომაც უნდა ვამხილოთ და დავსაჯოთ დამნაშავე, დავარწმუნოთ ადამიანები სამართლიანობის უძლეველობაში“. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ იგი მხოლოდ კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპით მიიღწევა. დროა, კანონის დაცვა უმკაცრესად თვით კანონის დამცველებს მოვთხოვოთ, ამის გარეშე სამართლებრივ სახელმწიფოს ვერასდროს შევქმნით.

მ. ჩუბინიძე უდანაშაულოდ იხდიდა სასჯელს 34 თვის განმავლობაში. დღემდე იგი უმუშევარია, „დაავიწყდათ“ ბოდიშის მოხდა და სამსახურში აღდგენა.

საინტერესოა, რომ ჭიათურის განათლების განყოფილების გამგემ ნ. წერეთელმა, აქტიური როლი შეასრულა მ. ჩუბინიძის „მხილებაში“. 1990 წლის 17 აპრილს ქ. ჭიათურის პროკურატურამ წარდგინება შეიტანა განათლების სამინისტროში ნ. წერეთლის მიმართ სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ. მაგრამ რატომღაც ნ. წერეთელი დღესაც განათლების განყოფილების გამგეა.

— პროკურორი თ. ბობოხიძე, რომელმაც უკანონოდ გასცა მ. ჩუბინიძის დაპატიმრების სანქცია რესპუბლიკის პროკურატურის მიერ წახალისებული და გადაყვანილი იქნა ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის პროკურორად (ამჟამად რაიონების გაერთიანების გამო იგი მუშაობს ქ. ქუთაისის პროკურორის თანაშემწედ).

— საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი ლ. საყვარელიძე უდანაშაულო მ. ჩუბინიძის განაჩენის ავტორი, ამჟამადაც განაგრძობს მუშაობას თავის თანამდებობაზე. (ბოლო საქმე, 14 წლის ბავშვს მიუსაჯა 10 წელი?)

— მ. ჩუბინიძის სასამართლო პროცესზე მონაწილე პროკურორი კ. ყიფიანი, რომელმაც მხარი დაუჭირა ბრალდებას და მოითხოვა 14 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარღება, ამჟამადაც განაგრძობს მუშაობას საჩხერის რაიონის პროკურორად.

— საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორმა შ. ლუბანიძემ, რომელმაც თავდაპირველად ობიექტური პასუხი გასცა მ. ჩუბინიძეს, მაგრამ შემდეგში გამოიჩინა უპრინციპობა და გამოძიებას მისცა სრულიად საპირისპირო ჩვენება, გადაყვანილი იქნა მაიაკოვსკის რაიონის პროკურორად, ხოლო ამჟამად მუშაობს რესპუბლიკის პროკურატურაში სასამართლოებზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად.

თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ის თანამდებობის პირები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს რათა მ. ჩუბინიძის საქმეში ჭეშმარიტება დაედგინათ, მკაცრად დაისაჯნენ, კერძოდ ვ. ტუტრაშვილი, რომელმაც პროტესტი შეიტანა მ. ჩუბინიძის ყალბი განაჩენის გაუქმებისათვის, გათავისუფლებული იქნა უმაღლესი სასამართლოს წევრობიდან, ხოლო გამომძიებელი გ. გიოშვილი, რომელმაც შეწყვიტა მ. ჩუბინიძის ბრალდება და საქმეზე ჩაატარა ობიექტური გამოძიება, რესპუბლიკის პროკურატურის უდიდეს საქმეთა გამომძიებლის თანამდებობიდან დაქვეითებული იქნა რიგით გამომძიებლად.

**ზ. დბეგუაძე**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის კონსულტანტი**

**ვ. დუმუსოვსკი**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის და ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის წევრი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართლის სამეფო სახლი VIII საუკუნის მეორე ნახევარში

**„ქართლის** ცხოვრების“ მიხედ=ვით, წმიდა მოწამე არჩილის (ქართლის მეფე არჩილ II-ის) აღსრულების შემდეგ „დაშთეს შვილნი მისნი იოვანე და ჯუანშერ. წარვიდა იოვანე ეგრისად და წარიტანა თანა დედა და ორნი დანი თვისნი. ხოლო ჯუანშერ და ორნი დანი მისნი დაშთეს ქუეყანასა ქართლისასა და კახეთისასა“. წმიდა მოწამე არჩილის ქალიშვილებიდან უმცროსი შუშან სახელგანთქმული ყოფილა თავისი სილამაზით — „იყო სახითა შუენიერ“. მისი სილამაზის ამბავმა ხაზართა ხელმწიფის, ხაკანის ყურამდე მიაღწია. ხაკანმა გადაწყვიტა შუშანი ცოლად შეერთო, „და მიესმა სიშუენიერე მისი ხაზართა მეფესა ხაკანს: შეუგზავნა მოციქული და ითხოვა შუშან ცოლად, და უქადა შეულად სარკინოზთა ზედა“. ხაკანის მოციქულის მოსვლა „მიუმცნო ჯუანშერ ძმასა თვისსა და დედასა. ხოლო მათ აოა ინებეს და უთხრეს: „უკეთუ უღონო იქმნეს ყოფა ჩუენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრეღარა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ“. და შუშანცა აგინა ხაზართ მეფესა“.

ხაზარები წარმართები იყვნენ, (იოანე საბანისძეს დახასიათებით — „კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელ“), ამიტომაც შეუთვალეს ხაკანს უარი, მიუხედავად არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების დაპირებისა.

უსრით შეურაცხყოფილმა ხაზართ ხაკანმა გადაწყვიტა ულამაზესი შუშანი ძალით ჩაეგდო ხელში, საქართველოში ჯარი გამოგზავნა, რომელსაც სათავეში ჩაუყენა სპასალარი ბლუჩან — „გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად; ჯუანშერ ძმასა თვისსა და დედასა. ხოლო მათ აოა ინებეს და უთხრეს: „უკეთუ უღონო იქმნეს ყოფა ჩუენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრეღარა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ“. და შუშანცა აგინა ხაზართ მეფესა“.

ხაზარები წარმართები იყვნენ, (იოანე საბანისძეს დახასიათებით — „კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელ“), ამიტომაც შეუთვალეს ხაკანს უარი, მიუხედავად არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების დაპირებისა.

უსრით შეურაცხყოფილმა ხაზართ ხაკანმა გადაწყვიტა ულამაზესი შუშანი ძალით ჩაეგდო ხელში, საქართველოში ჯარი გამოგზავნა, რომელსაც სათავეში ჩაუყენა სპასალარი ბლუჩან — „გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად; მოადგა ციხესა, რომელსა შინა იყვნეს ჯუანშერ და დაი მისი შუშან, და მცირედთა დღეთა წარიღო და ტყუე უყნა იგინი; შემუსრა ქალაქი ტფილისი, წარტყუენა ქართლი და ყოველი ესე ქუეყანა“.

ხაზარებმა ქართლი ააოხრეს და დატყვევებული და-ძმა წამოიყვანეს. როდესაც კავკასიონს გადადიოდნენ, „გზასა დარიალანისასა, დღესა ერთსა რქუა შუშან ძმასა თვისსა:

„უმჯობეს არს ჩემთვის სიკუდილი, რათა ღირს მყოს მე უფალმან წმიდათა დედათა თანა, ვიდრეღარა შევიგინო წარმართთა მიერ“. და ჰქონდა მას ბეჭედი, აღმოუგდო მას თუალი და მოწოა იგი; რამეთუ იყო თუალსა მას ქუეშე წამალი სასიკუდინე. და მუნქუესვე მოკუდა“.

ასე დაასრულა სიცოცხლე წმიდა მოწამე არჩილის უმშვენიერესმა ასულმა.

ხაზარებმა ამიერკავკასიაში 764 წელს ილაშქრეს. ისტორიკოსთა აზრით, ხაზართა ამ შემოსევას უკავშირდება მეფის ასულ შუშანის ტრაგიკული ისტორია.

ბლუჩანმა ერისმთავარი ჯუანშერი ხაკანს მიგვარა და შუშანის სიკვდილი აუწყა. ხაკანი „განუწყრა არა-მიტანებისათვის გუამისა მისისა, რომლისა წადიერ იყო ხილვად. შეიპყრეს ბლუჩან და მიაბეს ყელსა საბელი, და განზიდვად სცეს ორთა ცხენოსანთა იმიერ და ამიერ, და მოსწყვდეს თავი მისი ბოროტად. და ვითარ დაჰყო ჯუანშერ წელიწადი შვიდი, განუტევა ნიჭითა დიდითა ხაკანმან და წარმოგზავნა ქუეყანად თვისად“.

მემატიანე მოგვითხრობს, რომ ამ დროიდან ქართლის სამეფო გვარმა (მირიან მეფის, ჩვენი პირველი ქრისტიანი ხელმწიფის, გადმოცემით სპარსეთის შაჰის შვილის, შთამომავლობამ) დასუსტება დაიწყო, ნელ-ნელა დაკარგა ძალაუფლება. ამის მიზეზად დასახელებულია, ერთის მხრივ, არაბთა ბატონობა, მეორეს მხრივ, სამთავროებს შორის ურთიერთბრძოლა.

„ხოლო ამიერთაგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროანთამან. პირველად, უფლება სარკინოზთა განდიდნა და მიერთგან მიეცა ყოველი ესე ქუეყანა ქამით-ქამად რბევასა და ოხრებასა. მეორედ, იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას. და უკეთუ ვინმე გამოჩნდის შვილთა შორის ვახტანგისთა, რომელიმცა ღირს იყო მეფედ, იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან. რამეთუ დაიპყრეს ქალაქი ტფილისი აგარიანთა, შექმნეს სახლად საყოფად თვისად; მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა ამისგან, რომელსა ჰქონან ხარაჯა, რამეთუ განგებითა ღმერთისასა სიმრავლისათვის ცოდვათა ჩვენთასა განდიდნა ნათესავი აგარიანთა“.

ერისთმავარმა ჯუანშერმა ცოლად შეერთო „ნათესავი ბაგრატიონიანთა, ასული ადარნასესი, სახელით ლატავრი, და აბრალა დედამან მისმან მოყვანება მისი ცოლად: არათუ-რე კეთილად მეცნიერი იყო, ვითარმედ არიან იგინი ნათესავნი დავით წინასწარმეტყველისანი, რომელი — იგი ხორციელად მამად ღმრთისად იწოდა და ვითარ იხილა ძის ცოლი თვისი, შეუყუარდა, აკურთხა და დალოცა“.

დასავლეთ საქართველოში ამ დროს აფხაზთა მთავარმა ლეონ II-მ შექმნა ეგრის-აფხაზეთის სამეფო — „ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, დადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვდროდ აფხაზეთი, ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ, და შემდგომად ამისსა ჯუანშერიცა მიიცვალა“.

მემატიანე არაფერს გვეუბნება ჯუანშერისა და იოვანეს შთამომავალ-მემკვიდრეებზე. „მატიანე ქართლისა“-ს ცნობით, ჯუანშერის გარდაცვალების შემდეგ ქართლის სათავეში ბაგრატიონები მოსულან. მაგრამ იოანე საბანისძეს „მარტვილობაი ჰაბო ტფილელისაი“-დან ვიგებთ, რომ VIII ს. მეორე ნახევარში (781 წლამდე) ქართლის ერისმთავარი ყოფილა ნერსე II., 772 წელს ხალიფა მანსურმა იგი ბაღდადში გაიწვია და საპყრობილეში ჩასვა, ხოლო ხალიფა მაჰდიმ (775-785 წწ.) გამეფებისთანავე გაათავისუფლა და ქართლში გამოისტუმრა. 5 წლის შემდეგ ნერსე კვლავ შეებრძოლა არაბებს, შემდეგ თავის მხლებლებით ხაზარებთან გაიქცა, რადგან მათი დახმარების იმედი ჰქონდა. ხაკანმა ერისმთავარი პატივით მიიღო, მაგრამ სამხედრო დახმარებაზე, ჩანს, უარი უთხრა. ნერსე დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც ცოლ-შვილი ჰყავდა გახიზნული. აქ მან შეიტყო, რომ ქართლის ერისმთავრად ხალიფას მისი დისწული, სტეფანოზ გურგენის ძე, დაუნიშნავს. ნერსემ ამირასაგან ქართლში დაბრუნების ნებართვა და უშიშროების გარანტია ითხოვა. ხაზარებისგან მიტოვებული ნერსე არაბებისთვის საშიში აღარ იყო და იგი, როგორც კერძო პირი, ქართლში დაბრუნდა.

სწორედ ნერსეს მსაზური იყო აბო, ქრისტეს რწმენისთვის წამებული არაბი ჟაბუკი. წმიდა აბო ნერსეს ბაღდადში დაუახლოვდა, შემდეგ ქართლში გამოჰყვა, აქ გაეცნო ქრისტიანობას, დაუახლოვდა ქრისტიანებს, როდესაც ნერსე ხაზარეთში გადაიხვეწა, თან გაჰყვა და იქ მოინათლა. თბილისში დაბრუნებისას წმიდა აბო თანამოძმეებმა ამირასთან დააბეზღეს, „მამული სჯული“ მიატოვა და ქრისტიანობაში გადავიდაო. წმიდა აბო შეიპყრეს. არაბები ბევრს ეცადნენ, რომ კვლავ მაჰმადიანობაში დაებრუნებინათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მაშინ წმიდა აბო საპყრობილედან გამოიყვანეს და თავი მოჰკვეთეს. ეს მოხდა 786 წელს.

წმიდა აბოს მარტვილობა ქართველებს საუკუნეების განმავლობაში ქრისტეს რწმენისადმი თავდადების სწორუპოვარ მაგალითს აძლევდა, „შერყეულნი განმტკიცდებოდნენ, განმტკიცებულნი გამხიარულდებოდნენ“.

„მატიანე ქართლისა“-ს მიხედვით ერისმთავარ ჯუანშერის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის სათავეში ბაგრატიონები მოვიდნენ — „განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“.

**მოამზადა**
**ირაკლი ლომოურმა**
**უშანგ ობოლაძის ნახატი.**

## ასიმილაცია

# საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონი

**ასიმილაცია** ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს დამსგავსებას, შერწყმას, ათვისებას. ტერმინი „ასიმილაცია“ ბევრ მეცნიერებაშია დამკვიდრებული, მაგ. ბიოლოგიაში, ენათმეცნიერებაში, სოციოლოგიაში და სხვ. თითოეულ მეცნიერებაში, რასაკვირველია, სპეციფიკური შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. ამ სტატიაში ჩვენ მას განვიხილავთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა თვალთახედვით. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული საზოგადოებრივი მეცნიერებებიც თავის დამახასიათებელ შინაარსს დებენ ამ ტერმინში და ცდილობენ ის განსხვავებული მახასიათებლები წარმოაჩინონ, რასაც მხოლოდ ის კონკრეტული მეცნიერება გულისხმობს ამ ტერმინში. ასე მაგალითად, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს გვთავაზობენ სოციოლოგია, ეთნოგრაფია, პოლიტოლოგია და სხვა მეცნიერებები.

ყველაზე ზოგადი გაგებით ასიმილაცია არის ურთიერთშეღწევის და შერწყმის პროცესი, როდესაც პიროვნებები და ჯგუფები იძენენ სხვა პიროვნებების და ჯგუფების განწყობას, გრძნობას, მეხსიერებას; იზიარებენ მათ ისტორიასა და გამოცდილებას და საერთო კულტურულ ცხოვრებაში არიან ჩართულნი.

სოციოლოგიაში ასიმილაცია ნიშნავს ინდივიდებისა და ჯგუფების ცალმხრივ ან ურთიერთშთანთქმას, რასაც შედეგად მოსდევს ჯგუფის წევრ ინდივიდთა კულტურისა და თვითშემეცნების გაიგივება.

ეთნოგრაფიაში ასიმილაცია არის ერთი ხალხის შერწყმა მეორესთან, ერთ-ერთის მიერ თავისი ენის, კულტურის, ეროვნული ცნობიერების დაკარგვა, ყოველდღიური აზროვნების დონეზე ასიმილაცია არის თავისი შინაარსით განსხვავებული მოვლენების გაერთიანების ტენდენცია.

კიდევ სხვა შინაარსობრივი დატვირთვებიც აქვს ტერმინ ასიმილაციას. მაგ. ერთ-ერთი ამერიკელი სოციოლოგი მას აიგივებს ამერიკანიზაციასთან. ბევრი მეცნიერისთვის ასიმილაციის სინონიმებია აკულტურაცია, აკომოდაცია და სხვა (ამათზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

• ასიმილაცია შეიძლება იყოს ძალდატანებითი, იძულებითი ხასიათის. ასე ხდებოდა ავსტრია-უნგრეთის, რუსეთის, ბრიტანეთის, საბჭოთა და სხვა იმპერიებში. ჩამოყალიბებული ეთნოსის, ერის წარმომადგენლები, რომლებიც სხვა ხალხებთან მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა კონტაქტში აღმოჩნდნენ, შექმნილი ობიექტური პირობების გავლენით იღებენ გაბატონებული ერის ენას, კულტურას და თანდათან (ჩვეულებრივ — შემდგომ თაობებში) ამ ხალხს აკუთვნებენ თავიანთ თავს. დამპყრობელი ერი, როგორც წესი, თავს ახვევს დამონებულ ხალხს თავის ენასა და კულტურას, პირობებს ქმნის ასიმილატორული პროცესების წასამართავად. რუსეთისა და საბჭოთა ასიმილატორული პოლიტიკის შედეგად, რომელიც სახელმწიფო რანგში იყო აყვანილი, ბევრი მცირერიცხოვანი ერი შეერწყა სხვა ერს, სულაც, გაქრა და აღიგავა პირისაგან მიწისა.

ქართველი ერის სულიერი თვისებების გამოა, ალბათ, რომ ჩვენთან არ მოხდა ის, რაც ბრიტანეთის კოლონიურ პოლიტიკას მოჰყვა ძველი და უდიდესი კულტურის ინდოეთში — კოლონისტთა ენის გამოცხადება ერთ-ერთ სახელმწიფო ენად, რომელიც, რაც დრო გადის, კიდევ უფრო ავიწროებს ინდოეთის სხვა ენებს და ეს საბედისწერო, გამოუსწორებელი პროცესია.

განასხვავებენ ცალმხრივ ასიმილაციას და ურთიერთშერწყმას. ცალმხრივი ასიმილაციაა, როდესაც ერთი მხარე ჰკარგავს მშობლიურ ზნე-ჩვეულებებს, ქცევის ნორმებს, კულტურას, ენას და ა. შ. და იღებს სხვისას. ურთიერთშერწყმაა, როდესაც ორი ან მეტი კულტურების შერწყმით ჩნდება მესამე კულტურა.

სრული ასიმილაცია ნიშნავს, რომ არავითარი ცალკე სოციალური სტრუქტურები აღარ რჩება ეროვნულ-ეთნიკურ ბაზაზე.

ასიმილაციას ხშირად თან სდევს ე. წ. მარგინალობის მოვლენა, რაც ძველ კულტურასთან კავშირგაწყვეტილ ჯგუფებსა და ინდივიდებს ახასიათებთ, რომელთაც სრულად ვერ აითვისეს ახალი კულტურა. პიროვნება, რომელიც მიგრაციის, ქორწინების, განათლების მიღების და სხვ. მიზეზების შედეგად ტოვებს ერთ ჯგუფს ან კულტურას ისე, რომ მეორესთან შეგუების დამაკმაყოფილებელ დონეს ვერ აღწევს, აღმოჩნდება თითოეულ ამ კულტურათა პერიფერიებში, არც ერთის წევრი არ არის და ამგვარად ხდება „მარგინალური ადამიანი“, რომელიც პირად მწვავე კონფლიქტებს განიცდის ამის გამო.

ასიმილაციის პროცესის მკვლევარები ფაზებად ჰყოფენ ამ პროცესს. ეს ფაზები შეიძლება მოიცავდეს: საკუთარი კულტურული ღირებულებების შეცვლას მასპინძელი საზოგადოების კულტურული ღირებულებებით, დიდი მასშტაბის შერეულ ქორწინებებს და ინტეგრაციას მასპინძელი საზოგადოების სოციალურ ინსტიტუტებში და სხვ.

ასიმილაციის პროცესს იწვევს სხვადასხვა ფაქტორები: რასიული, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, ფსიქოლოგიური, კულტურული, სტრუქტურული და სხვ. მნიშვნელობა აქვს ჯგუფის სიდიდეს, გარე ქორწინების პრაქტიკას. ჯერ კიდევ არ არსებობს სისტემური შედარებითი ანალიზი იმისა თუ ამათგან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი.

აშშ-ში „ემიგრანტული კუნძულები“ ხშირად უზრუნველყოფენ „ეროვნულ უშიშროებას“, მაგრამ, ამასთანავე, ეს იზოლაციაში აქცევს იმიგრანტებს ამერიკული ცხოვრების წესისაგან, რასაც „ძველი“ ამერიკელები არ იწონებენ.

ასიმილაციის ხარისხი დამოკიდებულია კულტურათა განსხვავებულობაზე ან მსგავსებაზე, აგრეთვე — კულტურათაშორისი კონტაქტების სიხშირესა და ხასიათზე.

ასიმილაციის პროცესი თუ წყნარად არ მიმდინარეობს და ჩაგრული ერის ძლიერ წინააღმდეგობას იწვევს, ხშირად ეს ნაციონალისტური მოძრაობის საფუძველია.

ასიმილაციის მონათესავე ტერმინია **აკულტურაცია.** ეს არის კულტურათა ურთიერთზეგავლენის პროცესი, რომელიც ამ კულტურების ხალხთა პირდაპირი კონტაქტების პირობებში მიმდინარეობს და მივყავართ ხალხის, ჯგუფის ან ინდივიდის კულტურის შეცვლამდე (სხვა კულტურის სესხების შედეგად). ამავე პროცესში გადმოიღება ქცევის წესებიც, ფასეულობებიც და ა. შ., რომელიც თავის მხრივ იცვლება და ახალ მოთხოვნებს ესადაგება. აკულტურაციის შედეგად ზოგჯერ ხდება ერთი კულტურის დაცემა, რომელსაც, მეორე, ახალი კულტურა ცვლის. ერთი სიტყვით, აკულტურაცია არის კულტურის შეცვლა სხვა კულტურასთან კონტაქტის შედეგად, კულტურული ასიმილაცია.

ასიმილაციის ასევე მონათესავე ტერმინია **ამალგამაცია** (გვიანლათ. ამალგამა-შენადნობი) — ინდივიდების, მასების გაერთიანება სოციალურ ერთობად (ჯგუფი, საზოგადოება). ამალგამაცია არის ორი ან მეტი სხვადასხვა რასიული ჯგუფების ურთიერთზემოქმედების პროცესი, რის შედეგადაც ახალი რასობრივი ჯგუფი წარმოიქმნება; ჯგუფების ბიოლოგიური შერწყმა.

საბედნიეროდ, ჩვენთან რასიულ საფუძველზე ასიმილაციის საფრთხე არ არსებობს.

ასიმილაციის პროცესები ჩვეულებრივ ყველა მრავალეროვანი სახელმწიფოსათვის არის დამახასიათებელი (აშშ. კანადა, შვეიცარია, სსრკ, იუგოსლავია და ა. შ.). ასიმილაციის აყვანა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე მძიმე დანაშაულია კაცობრიობის და ღვთის წინაშე. ისევე რაგორც თითოეული ბიოლოგიური სახეობის არსებობა ჩვენი პლანეტის მშვენებაა და ყველა ჩვენგანის საზრუნავია, ხოლო მისი გადაშენება — უდიდესი ზიანი და დანაშაული, მით უმეტეს, თითოეული ერის (რაც არ უნდა მცირერიცხოვანი იყოს ის) ასიმილაცია და გაქრობა უდიდესი დანაშაულია დედა-ბუნების, ადამიანთა მოდგმის და ღმერთის წინაშე.

**ნოდარ კერესელიძე**

**რედაქტორი შარიკა აბაიშვილი**
**სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, ვუხარან შაჯაპარიანი, თეიმურ პაატაშვილი, გიორგი პეტრიაშვილი, ციალა ჭორაძე, ნოდარ წულეისკირი.**

**რედაქციის მისამართი: თბილისი, ზერას კოსტავას ქუჩა № 14. ტელეფონი 98-41-37.**

**ინდექსი 60421**

**ეხელოვნება ოფსეტური წესით ბოზარაულის ქუჩა № 99**